საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 20 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი,** მეოთხე გვერდზე **6 მანეთი.** სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი.** ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 137 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 137

## საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11–79.

---

დაობლებულნი შვილები: ნადია და ქეთო, მაზლები: ერმილე და ილარიონ, დედამთილი ელისაბედ რუსიეშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ კვირას 20 ივნისს, 12 საათზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარის

**მარიამ მიხეილის ასული რუსიეშვილის**

სულის მოსახსენებლათ. წმინდა ნინოს ეკლესიაში.

(1978 1—1)

---

უზომოთ დამწუხრებული მამა ასალო; ძმები დიომიდე და ანტონ; დები მარო და მატრონე; რძლები ეკა და კასინე; სიძეები მაკარი გოგუაძე და სარდიონ ღლონტი; ბიძა გიორგი ბაბილოძე, ბიცოლა მაკრინე; დეიდები ეფროსინე და ეგვიტი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

**თეოფილე ასალოს ძე მსხალაძის**

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 20 ივნისს, სოფელ მაკვანეთში. (უ. 2—2)

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა ელენე ივანეს ასული, მამა ერმოლოზ ქრისტეფორეს ძე, ბებია ეფროსინე ნიკოლოზის ასული, ბაბუა ქრისტეფორე ვასილის ძე, ბიცოლა ბაბო ათანასეს ასული, მამიდები ქენია და ნინო, ბიძაშვილი მარო და ბიძები პლატონ და რაჟდენ აბულაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას ამა ივნისის 20 ქ. სამტრედიის მაცხოვრის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და ნაშუადღევის 4 ს. პანაშვიდი მათი უძვირფასესის პატარა

**კოტიკო აბულაძის**

სულის მოსახსენებლად. (1973 1—1)

---

ღრმათ დამწუგრებულნი მამა გიორგი, დედა კელასი, ძმა კოტე და მამიდა თამარა ამაღლობელი აცნობებენ ნაცნობ-მეგობართ, რომ 18 ივნისს გარდაიცვალა მათი საყვარელი პატარა

**ვალიკო**

გამოსვენება ბათომში, კვირას 4 საათზე მეოთხე უბანი საკუთარი სახლიდან- (1976 1—1)

---

ივანე, ოჯახობა მისი ლუბა, დედა ეგვიტო და დაი ლიდა კრავეიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მშობლებს, ძვირფასი ნათლიის შვილის

**ვალიკო ამაღლობელის**

უდროოდ გარდაცვალებას. (1979 1—1)

---

კვირას, 20 ივნისს 12 საათზე, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში, გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ადერბეიჯანის ფრონტზე ბრძოლაში დაღუპულ სახელმწიფო უნივერსიტეტის **სტუდენტი**-აგრონომის

**სერგო თვარაძის**

სულის მოსახსენებლათ. რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს გულდამწვარნი მშობლები: მარიამ ზაქარიას ასული და იოანნე საბას ძე თვარაძენი, დები: კალისა და ელენა, ძმები: აკაკი და ალექსანდრე, რძლები: ოლია და მარი თვარაძეები. (1974—1—1)

---

კვირას, 20 ივნისს 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ადერბეიჯანის ფრონტზე ბრძოლაში დაღუპულ ძვირფასი მეგობარის

**სერგო თვარაძის**

სულის მოსახსენებლათ. რასაც აუწყებს მეგობართ და ნაცნობთ თამარა სიმონის ასული სვანიძე. (1975—1—1

---

გულ დათუთქულნი: ცოლი ნინა (ძძუ), შვილი ლილი, მამა გედევან, ძმა სილიბისტრო ლაბაძეები, და კალისტინა, სიძე ისაია მახათაძეები და ცოლიძმა ირაკლი გელოვანი შვილებით ამით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას, 20 ივნისს სოფ. ნიგოზეთის ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის უფროსი ოფიცრის შტაბს-კაპიტანის

**ბარნაბა გედევანის ძე ლაბაძის,**

რომელიც გმირულათ დაიღუპა 12 მაისს ადერბეიჯანის ფრონტზედ წითელ ხიდთან. (1971—1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი ქმარი მიხაკო, სიდედრი დომინე, მაზლები: იოსებ, პეტრე და დიომიდე ჩხიკვიშვილები, მამა ივანე, დედა ტერეზი, დები: ნატალია, ელენა და ნათელა, ძმები: შალვა, კოტე და ბორია ჯალაღანიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 20 ივნისს ახალი სტილით, 3 საათზე ქ. ოზურგეთში მოხდება დაკრძალვა მათთვის დაუვიწყარ ძვირფას

**ნინა ივანეს ასული ჩხიკვიშვილისა.**

---

ელისაბედ ათანელის ასული, გიორგი, ალექსანდრა და ოლღა ნუკრაძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და უკანასკნელთა მამა

**ედიშერ ანტონის ძე ნუკრაძე.**

დაკრძალვა მოხდება დღეს, 20 ივნისს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ საღამოთი ლიტურღიის შემდეგ. (1972—1—1)

---

## საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 20 ივნისს დილის 11 ს. დანიშნულია წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა

### წლიური კრება

საბებიო ინსტიტუტის შენობაში (26 მაისის ქ., ყოფილ ოლღას ქ.). დღის წესრიგი: 1) წლიური მოხსენება მთავარ სამმართველოს მოქმედების შესახებ. 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 3) 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება. 4) წესდების ზოგიერთ მუხლის შესწორება. 5) მთავარ სამმართველოს დამატებით წევრთა და კანდიდატთა არჩევნები. თუ დანიშნულ დროს კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვთა გამოუცხადებლობის გამო, განმეორებითი კრება მოხდება ერთი საათის შემდეგ, რომელიც თანახმათ წესდების 70 პარაგრაფისა კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. (1887—2—2)

---

შვილები ვლადიმერ და ნიკო კოკაიები, ქალი ევდოტე ცხადაიასი და სიძე შარვან ცხადაია აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ თავის საყვარელი დედის

**ეროდე პოჩაიას ასულის კოკაიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქალაქ ფოთში ნახუტუროს სასაფლაოზე კვირას, 20 ივნისს, საღამოთი. (1981—1—1)

---

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მის მიერ გახსნილია

## ავტომობილებით მიმოსვლა

თფილისიდან—კოჯორ-მანგლისამდე კვირაში სამჯერ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

ავტომობილები გადიან თავისუფლების მოედნიდან (ქალაქის თვითმმართველობის გვერდზე) დილის 7 საათზე. ფასი თითო სულზე კოჯორამდე 345 მან., მანგლისამდე—1430 მან.

ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების სატრანსპორტო განყოფილებაში (რესპუბლიკის ქუჩა № 8) ყოველ დღე დილის 8 საათიდან—2 საათამდე.

ახლო მომავალში გაიხსნება პირდაპირი ყოველდღიური მიმოსვლა თფილისიდან კოჯორამდე. (ნ. 2—2)

---

## მომარაგების სამინისტრომ

თავის რწმუნებულათ და სავაჭრო აგენტათ ქ. ბათუმში დანიშნა დავით კახელაძე, მის თანაშემწეთ გ. საყვარელიძე. ბათუმშივე არსებობს მომარაგების სამინისტროს კანტორა, (სვიატოპოლკ მირსკის ქუჩაზე, რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების პირდაპირ). სამინისტროსთან კომერციულ საქმეთა გამო ქ. ბათუმში უნდა მიმართონ რწმუნებულს დავით კახელაძეს კანტორაში.

**მომარაგების სამინისტრო.** (ნ. 3—3)

---

## განცხადება

## შრომის სამინისტროს სოციალურ დახმარებისა

ყველა იმ პირთ, რომელთაც წარმოდგენილი აქვთ თხოვნები სოციალურ დახმარებისათვის, უსათუოდ უნდა წარმოადგინონ მოწმობა სიღარიბისა და ნამსახურობის შესახებ.

**შრომის სამინისტრო.** (ნ. 5—5)

---

## განცხადება

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, (რუსთაველის პროსპექტი № 9 სასტუმრო „ორიანტის ქვეშ)".

## საქართველოს კონსტიტუციის პროექტი

შედგენილი და გამოცემული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ. პროვინციაში წიგნის მაღაზიებს შეუძლიათ დაიკვეთონ ბითუმათ. ფასი 25 მანეთი. მაღაზიის ტელეფონი № 14—21. (ნ. 5—2)

---

**ბახმაროს** მომხმარებელი საზოგადოება **„ჯანმრთელობის"** გამგეობა ამით აცხადებს, რომ **კვირას, 27 ივნისს** ახ. სტ. მიმდინარე სეზონისათვის

## საჯარო ვაჭრობით გაიცემა

საზოგადოების შემდეგი დაწესებულებები: 1) დიდი სასადილო, 2) სახორცე დუქანი და 3) პატარა სასადილო. ვაჭრობაში მონაწილეობისათვის საჭიროა გირაოს ფული. ვაჭრობა მოხდება ქ. ოზურგეთში ერობის შენობაში, დილის 11 საათზე. დაწერილებითი პირობების გაგება შეიძლება ოზურგეთში **ივანე ბ-ძე ღლონტთან.**

**გამგეობა.**

(1929 2—2)

---

## საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა გ. მინისტრის ნებართვით დაიწყო თავისი მოქმედება

## ბანკის კონტორა

ტელ. 1—77 **კავკაზ და გერმესმა** ტელ. 1—77

თფილისი, თავისუფლების მოედანი. (ერევნის მოედანი) ტელეგრაფის ადრესი—„კავგერბანკი"

**აწარმოებს შემდეგ საბანკო ოპერაციებს.**

მიღებას (ფულისა მიმდინარე ანგარიშზედ და ძვირფასი ნივთების მიბარებას. თამასუქების განაღდებას—და სესხის მიცემას, გადაგზავნას, შენახვას.

**სხვადასხვა საკომისიო და ბირჟის დავალებებს.**

კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

(1944—3—2)

---

## გამოვიდა გასასყიდათ ახალი სახელმძღვანელოები:

1. **„ახალი ქართული ანბანი"**, შედგენილი იაკობ სვ. ზედგინიძის მიერ, სასაუბრო და ენის სავარჯიშო სურათებით, ლექსებით, პატარა მოთხრობებით, გამოცანებით, წერის და ხატვა-ხაზვის ნიმუშებით, მოძრავი ანბანის ფურცლით და სხ., მრავლად დასურათებული, ფასი 25 მანეთი. წიგნი **ნება დართულია** განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტის მიერ სკოლებში სახმარებლად **როგორც სახელმძღვანელო. 2. ანბანის სწავლება** ახალი ანბანით, მოკლე მეთოდიური დარიგება მისივე, ფასი 20 მან. 3. ქართული **დასურათებული მოძრავი ანბანი,** ოჯახში და სკოლებში სახმარებლად, მისივე გამოცემა, ფასი 12 მ. გამოცემების საწყობი: ალექსანდრე არაბიძე და ამხ., თფილისი, დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5, ეზოში. (ნ. 1—1)

---

## გამოვიდა ნოე ჟორდანიას თხზულებათა პირველი ტომი

**თფილისის ხელის მომწერლებმა** უნდა მიიღონ წიგნი გამომცემლობის კანტორაში (რუსთაველის პრ. № 26) ვისაც შემოტანილი აქვს ბე ყველა თხუთმეტი ტომის 450 მან. თითო ეკზემპლიარზე, იმათ უნდა წარმოადგინონ ნაღდათ 70 მან. სხვა ხელის მომწერთა მიერ შემოტანილი ბე დარჩება გამოცემის დასრულებამდის და ამ ჟამად ნაღდათ უნდა შემოიტანონ წიგნის **მთელი ღირებულება 100 მან. პროვინციის ხელის მომწერლებს** ამავე წესით გაეგზავნებათ წიგნი ფას დადებით ფოსტით.

**ქუთაისში კი ხელის მომწერლები** მიიღებენ წიგნს გამომცემლობის სააგენტოში ისიდორე კვიცარიძესთან.

ხელის მოწერა გაგრძელდება 15 ივნისამდის. (1977—1—1)

---

## კონიაკი, არაყი და სპირტი

## დ. ზ. სარაჯიშვილისა

**იყიდება საქარხნო ფასებში.**

კუთხე ვაგზლისა და გოგოლის ქ. 70 სავაჭრო **ჩიქოვანისა და ამხანაგობა.**

(1980 1—1)

---

## მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი, № 129)

**კვირას 20 ივნისს,** ან. შოთაძის და ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I. „ვაი ყოგოს"

II. „უშნო არშიყი"

III. „სოფლის ფერშალი"

წარმოდგენაზეე დასწრება უფასოა. ბაღში დაუკრავს მუსიკა. დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ ს. კლუბი ღია იქნება ღამის 1 ს. კლუბში შესვლა საზოგადო წესით. ორშაბათს—აშულ-ყარიბი. (ნ. 1—1)

---

## დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი"

**ხუთშაბათს 24 ივნისს**

## ობოლი მუშის საღამო

I. **ივ. გომართელი**
ობოლი მუშის პოეზია.

II. **უბედური დღე**
ვოდ. 1 მოქ. ბალანჩივაძისა.

III. **პოეზია**

დუტუ მეგრელი, ვარლამ რუხაძე, ი. გრიშაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ს. ერთაწმინდელი, ხარიტონ ვარდოშვილი და ობოლი მუშა.

**თაგუნა**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში საღამოს 5 საათიდან. (ნ. 2—1)

---

## ყრილობის დანიშნულება

დღეს ერთი კვირაა, რაც ჩვენი პარტიული ყრილობა მუშაობს. საინტერესოა პროცესი ამ მუშაობის. მმართველი პარტია არკვევს მეტათ რთულ კითხვებს. არა აქვს მზა დებულებები მათ გასარჩევათ. მისი აზროვნობა არის, თუ შეიძლება ითქვას, დამოუკიდებელი და ორიგინალური. ვერც ერთი სხვა პარტიისგან ის ვერ გადმოიღებს ნიმუშებს. მთელ საერთაშორისო ასპარეზზე პირველი მაგალითია, როცა სოციალდემოკრატიული პარტია აშენებს სახელმწიფოს თავისი ხელით. ჩვენთვის უფრო ადვილი იყო კრიტიკა, ოპოზიცია. გვქონდა ერთხელვე მიღებული პროგრამა. მოვითხოვდით მის გატარებას სხვა მმართველ კლასთან, სხვა გამეფებულ პარტიასთან ბრძოლაში. ახლა პოლიტიკური ძალაუფლება ჩვენ ხელშია, ჩვენი საქმე დღეს იმავე პროგრამის გატარება.

აქამდის ვიყავით ბრძოლის დამარღვეველი ოპოზიციის პარტია, ახლა წარმოვადგენთ მებრძოლ და ამშენებელ ძალას. მაშინ ვებრძოდით იმ კლასს, რომელიც გამეფებული იყო ეკონომიურ ცხოვრებაში და პოლიტიკურშიაც. ახლა ვებრძვით იმავე კლასს, როცა ის ველარ მეფობს პოლიტიკურათ, მაგრამ ჯერ კიდევ თავის ადგილზეა ეკონომიურათ.

რუსეთის ბალშევიკებმა ნახეს მარტივი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან. რაკი პოლიტიკაში ჩვენ გავმეფდით, ახლავე უნდა შევმუსროთ ბურჟუაზიის ეკონომიური ძალაცო. რუსეთი დაეცა ასე დაწყებული საქმიანობით. დღეს მუშათა კლასი ყველაზე უფრო გრძნობს ამას. ამუშავებენ საწარმოო ძალების გასამთელებლათ. შრომის რაზმის ცნობებიდან როგორც სჩანს, ბევრს აკეთებენ, შრომის ნაყოფიერება კი მაინც ვერ ედრება მეფის დროინდელს.

ჩვენ არ გვივლია და ვერც წავალთ ბალშევიკური გზით. არ ვამაგრებთ ბურჟუაზიული წესწყობილების ეკონომიურ საძირკველს. მაგრამ არც ვანგრევთ ისე, რომ ვერაფერი ვერ გამოვიყენოთ ნანგრევებიდან. მკითხველი ნახავდა გაზეთებში საბჭოთა მთავრობის მიმართვას. ის იწვევს უცხოეთის კაპიტალისტებს,—მოდით, მოიტანეთ ფული, „გამოცდილება და დაიმუშავეთ რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრეო. საზღვარ-გარეთიდან ეძახიან ახლა ყველას და ყველაფერს, რაც გაანადგურეს თავის სახლში.—კაპიტალისტურ კულტურაში არის ისეთი მემკვიდრეობა, რომელიც გამოგვადგება მომავლისთვის სოციალიზმის მოწყობაშიო,—სწერენ ამ მიმართვაში ბალშევიკები. ეს წმინდა მარქსისტული აზრი გაიხსენეს დიდი დაგვიანებით. იღებენ დასალევ წყალს იმ ჭიდან, რომელშიაც თითონვე ჩააფურთხეს პირველათ.

ჩვენ გვეუბნებოდნენ და გვეუბნევიან—თუ თქვენ ხელშია საქართველოს ბედიღბალი, თუ ეს მშრომელი ხალხის გაბატონებაა, ბურჟუაზიას აღარ უნდა ეჭიროს ძველებური ადგილი, ეკონომიური მართვა-გამგეობაც იმავე მშრომელ ხალხის ხელში უნდა იყოსო.

ამ მოსაზრებებს პარტიულმა ყრილობამ მისცა გარკვეული პასუხი. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ პოლიტიკური ძალა-უფლება მხოლოდ ისეთი მდგომარეობის შესაქმნელად, რომელიც პირობებს მოგვიმზადებს სოციალისტურ სამეფოში შესასვლელად. მოსამზადებელ ძალით ჩვენ მიგვაჩნია დემოკრატიული რესპუბლიკა და ეს გამოვაცხადეთ სახელმწიფოებრივი წესწყობილების მუდმივ და უცვლელ ფორმათ.

პარტიული ყრილობა აშორდა ამნაირად ბალშევიკურ გზას და დარჩა მარქსისტულ გზაზე. ბალშევიკებს დემოკრატიული რესპუბლიკა ბურჟუაზიის ხელსაყარ იარაღათ მიაჩნდათ. მარქსის, ენგელსის და საზოგადოთ მარქსისტების აზრით კი ეს სოციალისტური იარაღია. ამით ჩვენ ხელს კი არ შევუწყობთ ბურჟუაზიის საბოლოო გაბატონებას, როგორც გონიათ ბალშევიკურ მოაზრეებს. ამით ჩვენ მოვამზადებთ სამერმისოდ შრომის გამეფებას.

მთავარი პრინციპის მიხედვით უნდა გაირჩეს მთელი დღიური წესრიგი. დემოკრატიული ხაზი უნდა გავატაროთ ყველგან, სახელმწიფოს ყველა დარგებში, ყველა კუთხეებში. მაგრამ ვერ დავივიწყებთ, რომ დემოკრატია არ არის განყენებული პრინციპი. თუ ადგილის და დროის პირობებს ანგარიში არ გაუწიეთ, თუ დემოკრატიულ მუშაობას მარტო მწიგნობრულათ მოვეკიდეთ, მაშინ ჩვენივე ხელით ძირს გამოვუთხრით ნამდვილ დემოკრატიას.

პარტიული ყრილობა გამონახავს ამ შემთხვევაში ისეთ სასწორს, რომელიც უნდა გამოვიყენოთ ჩვენ ყოველ დღიურ მუშაობაში, კერძო კითხვების გადაწყვეტაში. კარგი იქნებოდა, რომ ეს კითხვებიც აქვე, ამ ყრილობაზე გადაგვეჭრა, მთავარი რიგი ამ კითხვების მაინც. სამწუხაროთ ისეთი დროა ახლა, რომ დიდხანს ვერ გავაჩერებთ მოწინავე ამხანაგებს. ისინი თითონ მოითხოვენ დაჩქარებით გათავებას. კიდევ ორიოდე დღე, მეტი შეუძლებელია. არ უნდა შეუშინდეთ იმ გარემოებას, რომ, საბოლოოთ ყველა კითხვებში დამთავრებული და ჩამოსკვნილი რეზოლიუციები იქნება არ გამოგვივიდეს.

ეს არ ჩაითვლება ყრილობის უნაყოფობათ. საქმე სახელმძღვანელო პრინციპებშია. ამ მხრივ კი ყრილობამ შეასრულა თავისი დანიშნულება.

## ორი მიმართულება

### I

**ბურჟუაზიული, თუ სოციალისტური?**

როგორც „საქართველოს კომუნისტი"-დან (№ 2) სჩანს, ჯერ კიდევ ზოგიერთი ანბანური ჭეშმარიტება ყოფილა გამოსარკვევი. მე მინდა ახლა გამოვთქვა ჩემი აზრი უპოლემიკოთ. ამ კითხვებში „კომუნისტთან" პოლემიკა მე არ მაინტერესებს

რევოლიუციას საზოგადოთ ახასიათებს ორი მთავარი ნიშნეულობა—ობიექტიური და სუბიექტიური. რევოლიუციის დასახასიათებლათ ისმება ორნაირი კითხვა:

1) ვინ ახდენს ამ რევოლიუციას, რომელი კლასია მისი მამოძრავებელი ძალა—ბურჟუაზია, თუ პროლეტარიატი?

2) რომელი წესწყობილება უნდა დამკვიდრდეს ამ რევოლიუციის შემდეგ—ბურჟუაზიული, თუ სოციალისტური?

შეიძლება მუშათა კლასი იყოს მთავარი ძალა, და მაინც გამეფდეს ბურჟუაზიული წესწყობილება: ამ შემთხვევაში რევოლიუცია არის სუბიექტიურათ პრო-

# გენერალური შტაბის ცნობა

19 ივნისი.

**როყის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა 18 ივნისს გამაგრებული პოზიციებიდან მტერი კოშკის ჩრდილოეთით გადარეკეს და სოფ. წარითი დაიკავეს. მტერმა ლიახვზე მდებარე ხიდი გააფუჭა. შეტევა გრძელდება. სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.**

# ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ

№ 103, ივნისის 18—1920 წ.

ქ. თფილისი.

კომანდირებო, ჯარისკაცნო და გვარდიელებო, მოგილოცავთ ადერბეიჯანთან ზავს. თქვენ იცით, რომ ამ თვენახევრის წინ რუსეთის ლაშქარმა გადმოლახა სამხრეთ რუსეთი და ჩრდილო კავკასია, რამდენიმე საათის განმავლობაში გადმოთელა ადერბეიჯანის რესპუბლიკა და ამ უკანასკნელთან ერთად და მის დროშის ქვეშ თქვენ საყვარელ საქართველოსკენ გამოეშურა იმ იმედით, რომ თუ რამდენიმე საათის არა, რამდენიმე დღის განმავლობაში მაინც დაამხობდა თქვენს ხალხურ, დემოკრატიულ რესპუბლიკას. მაგრამ ანგარიში წაუხდათ. თქვენში შეგნება, ვაჟკაცობა და სიმამაცე, სამშობლოსადმი სიყვარული და კაცური-კაცობა ერთად შედუღდა და სალ კლდეთ გადაელობა წინ მომხდურთ. თქვენ წმინდა სახალხო საქმეს იცავდით, სხვისი წახდენა არ გინდოდათ და არც გინდათ, მაგრამ არც თავს დააჯაბნებინებთ სხვას. თქვენ მართალ საქმეს იცავდით და კიდეც გაიმარჯვეთ. უკუ ქცეულმა მტერმა ბოდიში მოიხადა და ზავი გთხოვათ.

თქვენმა ხალხურმა მთავრობამ მიბრძანა მე: რადგან მტერმა ზავი გთხოვა, ჩვენ ხომ ერთი მუშისა და გლეხის ერთი წვეთი სისხლის დაღვრაც კი არ გვინდოდა, თუ კი თავს არავინ გვესხმის, მაშ წადი შენ და, როგორც ჩვენი მხედრობის მინისტრმა, ისეთი ზავი შეჰკარი, როგორც ჩვენ სასიქადულო მხედრობასა და ვაჟკაცობას ეკადრებაო.

თანახმად მთავრობის ზუსტი ბრძანებისა დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად შევხვდით მოწინააღმდეგეთა წარმომადგენლებს და ხანგრძლივი თათბირის შემდეგ საქართველოსა და ადერბეიჯანის შორის შეიკრა ზავისა და მეგობრობის პირობა. ზავი, რომელიც ჩვენს შორის დაიდო, პატიოსანი და გულწრფელი ზავია. საქართველოს რესპუბლიკამ არ ისარგებლა იმ ძნელი მდგომარეობით, რომელშიაც ადერბეიჯანი ჩავარდა და სულმდაბლურათ არ გაუჭირა მას თოკი ყელში.

ჩვენ მოვითხოვეთ ჩვენი საზღვრების უზრუნველყოფა. მივიღეთ ორი საპოზიციო მთაგრეხილი წითელი ხიდის მიდამოებში, გავავლეთ მტკიცე საზღვარი ორ რესპუბლიკათა შორის. ადერბეიჯანის ტერიტორიაზე ჩვენ საზღვრებთან განსაზღვრული ადგილები ნეიტრალურათ გამოცხადდა, სადაც ისინი ჯარებს ვერ შემოიყვანენ; ზაქათალის ოლქის საკითხის გადაჭრა უსისხლოთ, სამედიატორო სასამართლოს საშუალებით, გადავწყვიტეთ, ხოლო მანამდე კი, ადერბეიჯანს არა აქვს უფლება შემოიყვანოს შიგ ჯარი და ოლქში მათთან ერთად უნდა ჩადგეს ჩვენი საკონტროლო კომისია. საკმარისათ უზრუნველყოფილ იქნა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური ინტერესები. ამგვარად, თქვენის მეოხებით შეიკრა პატიოსანი და თქვენი საკადრისი ზავი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა მოლაპარაკების დროს მშვიდობიანობის წყურვილი და გულწრფელობა გამოიჩინეს, ხოლო მომავლისათვის ძმობა შემოგვფიცეს. ჩვენ ხომ უმისოდაც ყოველთვის და ყველასთან ძმობისა და კეთილმეზობლობის მომხრენი ვათ (თუ კი თავს არავინ გვესხმის) და ჩვენც სამაგიეროთი ვუპასუხეთ. უნდა გითხრათ, თუ რა გაოცებულნი არიან იქაური ჯარისკაცები თქვენი მამაცობითა და შეგნებით. ამდენ ქვეყნებში გამოვიარეთო, ამბობენ ისინი, და აბა, როგორ ვიფიქრებდით, თუ ეს ერთი ნამცეცი საქართველოს რესპუბლიკა ასეთ სასტიკ წინააღმდეგობას გაგვიწევდა. თუმცა გაგონილი კი გვქონდა ქართველების მამაცობის შესახებ, მაგრამ თუ ეს ერთი მუჭა ხალხი ამას იზამდა, ეს კი აღარ გვეგონაო. თანაც დასძენდნენ, რომ ჩვენმა მეთაურებმა მოგვატყუილეს: ისინი გვეუბნებოდნენ, რომ საქართველოში ძველი რეჟიმია, იქ მემამულეების მთავრობაა, მუშები და გლეხები თავადაზნაურებს ჰყავთ დამონებული და აი, სწორეთ ქართველი მუშები და გლეხები გთხოვენ მივეშველოთ და გავანთავისუფლოთო, თანაც გვეუბნეოდნენ, რომ ჩვენმა გაგზავნილმა კომუნისტებმა შიგ საქართველოში უკვე მოახდინეს აჯანყება, ძალა-უფლება ხელთ იგდეს და ეხლა ჩვენგან მხოლოდ მიშველება ესაჭიროებათო. ეხლა კი გავიგეთო, ნაღვლიანათ დასძენდნენ იქაური ჯარისკაცები, რომ ჩვენ მოგვატყუილეს, ვინაიდგან თქვენ თურმე ხალხური რესპუბლიკა გქონიათ, მემამულეებისათვის მიწა უკვე ჩამოგირთმევიათ, თქვნს მუშებს და გლეხებს ჩვენგან არავითარი დახმარება არ უთხოვიათ და საერთო რევოლიუცია თურმე თქვენშიაც ყოფილაო. —ან კი როგორ იქნებოდაო, დასძინა ერთმა ასტრახანელმა მუშა-წითელ-არმიელმა, თვით რუსეთში განა მაგათ არ დაიწყეს ეს საქმე პირველათაო.

ამ გვარათ, ძმური და მეგობრული სიტყვით დავშორდით ერთმანეთს. ძმობასა და მოყვრობაში ჩვენ ხომ ტოლს არავის დავუდებთ და ჩვენს სიტყვას წმინდათა და პირნათლად შევასრულებთ. მაგრამ ისიც ყველამ იცის და უნდა იცოდეს, რომ ღალატსა და მუხანათობას არ დავინდობთ და სასტიკათ დავსჯით.

საქართველოს მხედარნო, სამშობლო კერის დამცველნო, თქვენის მეოხებით ჩვენმა რესპუბლიკამ საპატიო ზავი შეკრა რუსეთთან და ადერბეიჯანთან. ჩვენ ამ ჟამად არც ერთ სახელმწიფოსთან აშკარა ომიარა გვაქვს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის გარეშე და შინაური მტერნი და მოშურნენი ვერ ისვენებენ. ეს იუდა მოღალატენი თვით თქვენ შორისაც კი დაწანწალებენ, გველები დასისინებენ, უნდათ თქვენი დაშხამვა, მათი განზრახვაა თქვენი ერთობის ციხე შიგნიდან გასტეხონ და მით თქვენი სისხლითა და ოფლით აშენებული ქვეყანა გაანადგურონ და დააქციონ. ისინი ხომ ოსებს აჯანყებენ და უსევენ ქართველებს, ამ მოსყიდულ მოღალატეებს უნდათ შიგნით შეგვიქნან არეულობა, რათა თქვენ და მთელი ქართველი ხალხი სისხლის მორევში ჩაგახრჩონ. ჩვენ გვინდა მშვიდობიანი შრომა და ცხოვრება, მათი მიზანია კი რაც შეიძლება მეტი არეულობა, შფოთი და სისხლის ღვრა. მაშ, არ დაინდოთ ეს იუდა-მოღალატენი, ეს გაშმაგებული მგლები, რომელნიც ხშირათ ცხვრის ტყავში ეხვევიან და ტკბილსა და მოქარგულ სიტყვებს ჩაგჩურჩულებთ. ხომ იცით, როდესაც იუდა ქრისტეს ძმურათ ეამბორებოდა, სწორეთ იმ წამში ეწეოდა გამცემლობას. არ დაინდოთ მოღალატენი, შხამიანი გველის წიწილები უნდა გაისრისოს. ამას მოითხოვს ქართველი ხალხის ბედნიერება. მთელი ქართველი ხალხის მტკიცე ნებაა და მისი მთავრობის ურყევი გადაწყვეტილება, რომ რკინის ცოცხით გასწმინდოს და დაჰგმოს ღალატის ბუდეები და გაელვარებული ხანთით მოსწვას ჩვენი ეროვნული სხეულის ის დაჩირქებული ადგილები და მუწუკები, რომელნიც მთელ ორგანიზმს მოწამვლასა და დაღუპვას უქადის. ღალატი ძირ-ბუდიანათ აღმოიფხვრება. გარედან მტერმა ვერა დაგაკლოთ, მაშ, ფრთხილად, მამაცნო, შიგნიდან არავინ გასტეხოს თქვენი შეგნებისა და ერთობის ციხე.

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ თქვენ მიერ მოპოვებულ საპატიო ზავს! გაუმარჯოს ჩვენ მამაც მხედრობას!

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

---

ლვტარული, ობიექტიურათ ბურჟუაზიული.

დიდი გავლენა ჰქონდა, მაგალითად, საფრანგეთის რევოლიუციებში, მუშათა კლასს, ისინი „აღბეჭდილი“ იყვენ, „კომუნისტის“ ენით რომ ვთქვათ, „სოციალისტური პროლეტარიატის ნიშნით“, მათ ემჩნეოდა „ნათლათ გამოსახული სოციალისტური ტენდენციები“, მაგრამ საბოლოოთ მაინც ბურჟუაზიული წესწყობილება იკიდებდა ფეხს ამ რევოლიუციების შემდეგ.

საერთაშორისო სოციალიზმის წარმომადგენლებს პლეხანოვის შეკითხვაზე ახალი არა უთქვამსთ რა რუსეთის მდგომარეობის დასახასიათებლათ.

— ...იქნება ბურჟუაზიული რევოლიუცია რამდენუმეთ გაიჟღინთოს სოციალიზმითო,—ამბობდა ერთი.

— ...რუსეთის რევოლიუცია არის ბურჟუაზიული, მაგრამ, ეტყობა, შიგა და შიგ არის სოციალისტური ნარევებიცო,—ამბობდა მეორე.

— ...ბურჟუაზიულია, მაგრამ სოციალიზმის გავლენა ემჩნევიო,—ამბობდა მესამე.

— ...არც სოციალისტურია, არც ბურჟუაზიული,—სწერდა მეოთხე.

...ბურჟუაზიული არ არის, რადგან რუსეთის ბურჟუაზია სუსტია და მამოძრავებელი ძალის საქმეს ვერ იკისრებს, უფრო ძლიერია პროლეტარიატი, რომელსაც შეთვისებული აქვს სოციალისტური მოძღვრებაო,—უპასუხებდა პლეხანოვს მეხუთე.

ერთი სიტყვით, მაშინ რუსეთის რევოლიუციას ვერ გაუგეს ასავალ-დასავალი. ვერ გაითვალისწინეს მისი ნამდვილი სახე.

დასავლეთ ევროპაში ყველგან ძლიერი იყო ბურჟუაზია და ის სათავეში ექცეოდა სახელმწიფოს, თუმცა რევოლიუცია ხდებოდა უფრო მუშათა კლასის ძალღონით. რუსეთში იყო სუსტი ბურჟუაზია. აქ ის ვერც გამოდიოდა თითონ ცალკე რევოლიუციონურ ძალათ და ვერც იგდებდა ხელში ძალა-უფლებას, როცა მუშათა კლასი არყევდა ძველ წესწყობილებას. 1905 წელს ამ კლასის მეთაურობით მოხდა რევოლიუცია, მაგრამ პოლიტიკური მართვა-გამგეობა ვერ გადავიდა მის ხელში. ამისთვის აღარ ყოფნიდა ძალა. სუსტმა ბურჟუაზიამ ვერ ისარგებლა ამნაირი მდგომარეობით და ვერ მოაწყო სახელმწიფო თავისი კლასობრიეი ინტერესების შესაფერისათ. სუბიექტიურათ მაშინდელი რევოლიუცია იყო პროლეტარული, სოციალისტური ბეჭედი ემჩნეოდა, ობიექტიურათ კი ის ვერ გამოდგა ვერც სოციალისტური, ვერც ბურჟუაზიული. წესწყობილება დარჩა ძველი, ნახევრათ ბატონყმური.

1917 წელსაც რევოლიუცია მოხდა მუშათა კლასის მეთაურობით. ბურჟუაზია მიეკედლა სხვის დაწყებულ საქმეს, მოინდომა საფრანგეთის ბურჟუაზიასავით სხვისი ნაკეთების გამოყენება და პოლიტიკურათ გამეფება. მუშათა კლასმა ლენინის მეთაურობით ეს არ დაუთმო და თითონ ჩაუდგა სათავეში მართვა-გამგეობას.

ეს რევოლიუცია გამოვიდა სუბიექტიურათ სოციალისტური, რადგან მშრომელმა ხალხმა ის მოახდინა სოციალიზმის სახელით და ხელში აიღო სახელმწიფოს ბედ-იღბალი. ობიექტიურათ კი ის ვერ გამოდგა ვერც ერთნაირი. არ ითქმის, რომ რუსეთში დღეს სოციალიზმია, არც ის ითქმის, რომ იქ ბურჟუაზიული წესწყობილებაა.

გამართლდა ის, რასაც ამბობდნენ საზღვარ-გარეთელი სოციალისტები. სახელი ვერ დაარქვეს რუსეთის რევოლიუციას, და ის მართლა უსახელოა.

ბალშევიკების და მენშევიკების დავა გამოიხატებოდა იმ დროს შემდეგში. მენშევიკები ფიქრობდნენ,—ამ რევოლიუციაში მუშათა კლასია ყველაზე უფრო ძლიერი და მომქმედი პირი, მაგრამ რევოლიუციის შემდეგ უნდა დამყარდეს ისეთი წესწყობილება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს. ამიტომ პლეხანოვის აზრით, მუშათა კლასმა უნდა აიყოლიოს ბურჟუაზია და აკეთებინოს საერთო რევოლიუციონური საქმე. მშრომელ ხალხსაც და ბურჟუაზიასაც ჰყავს ჯერ ერთი მტერი—ძველი თვითმპყრობელობა, მის დასამარცხებლათ უნდა მოხდეს ძალების შეთანხმებაო. პლეხანოვს არასოდეს არ უთქვამს, რომ მუშათა კლასმა მხარი დაუჭიროს ბურჟუაზიასო. ისე უნდა მოქმედებდეს ეს კლასი, რომ სხვა ცოტათ თუ ბევრათ მოწინავე კლასები და წრეები არ შემოეცალონ გარეშემო და ამით ძველი დროის წესწყობილებამ არ ისარგებლოსო.

ეს იყო პლეხანოვის და მენშევიკების აზრი.

ბალშევიკები არ ფიქრობდენ ასე. მათი ფიქრით ბურჟუაზიაც ისეთივე რეაქციონერი იყო, როგორც თვითმპყრობელობა. შესაძლებლათ არ მიაჩნდათ არავითარი შეთანხმება,—ომი ორივეს უნდა გამოუცხადოთ ერთბაშათ თავად აზნაურობასაც და ბურჟუაზიასაცო. დუმაში არჩევნების დროს არ შეიძლება, რომ ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენელს ხმა მიეცეს უფრო მემარჯვენე კანდიდატის გასაშავებლათო. ერთმა **დიდმა** ბოლშევიკმა დეპეშით გაუგზავნა შეკითხვა ამის შესახებ საფრანგეთის სოციალისტს—გედს. მის მარქსისტობაში მაშინ არ შედიოდათ ეჭვი. გედმა უპასუხა,—სოციალ-დემოკრატია ვალდებული არის რეაქციის გასამართლებლათ, სადაც თავის კანდიდატებს ვერ გაიყვანს, იქ ამოარჩიოს ბურჟუაზიული წრეებიდან შედარებით უფრო მემარცხნე, და ხმა მისცესო.

სწორედ ბალშევიკები აფასებდენ მაშინდელ ხანას მეტაფიზიკურათ,—იქით ჩამოყალიბებული რეაქცია—თვითმპყრობელობა და ბურჟუაზია, აქეთ გაწმენდილი რევოლიუცია — მუშათა კლასი და გლეხობა. აი ამნაირ დაფასებას არ ეთანხმებოდენ ჩვენი საერთაშორისო ოჯახის წარმომადგენლები. არც ერთ სოციალისტს პლეხანოვის შეკითხვაზე არ უთქვამს,—მთელი ბურჟუაზია რეაქციონური ბანაკია და ახლავე გაურჩევლათ უნდა ამოვიღოთ სასროლ ნიშანშიო. სოციალისტებმა ამ მთავარ ტაქტიკურ კითხვაში მხარი არ დაუჭირეს ბალშევიკებს. სავსებით მიემხრენ პლეხანოვს.

**ს. დევდარიანი.**

# საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

დღემდე ჩვენ უმთავრესად ცნობები მოგვყავს მოსკოვის გაზეთებიდან.

ამ ჟამად შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა ეკატერინოდარის „კრასნოე ზნამიას“ რამდენიმე ნომერი.

ეკატერინოდარი, მთელი ყუბანი, ისე, როგორც ველიკოროსია, როგორც ვიცით „გაწითლებულია“. ამიტომ არ იქნება ინტერესს მოკლებული მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები ამ გაზეთიდან:

**აჯანყება საქართველოში. ბაქო.** 18 მაისი. ალექსანდროპოლში გამოცხადდა საბჭოთა მთავრობა. მიმოსვლა ალექსანდროპოლსა და თფილისს შორის შეწყვეტილია. („კრ. ზნ.“ № 23).

ასე იცნობენ საქართველოს! უეჭველია, დაშნაკცუტიუნი ამას შეურაცხყოფათ მიიღებს.

**სესხი მეთამბაქოებს და მევენახეებს.** ყუბანის რევკომმა გასცა განკარგულება მიეცეს საოლქო მიწის განყოფილებას „სმეტის“ ანგარიშში 25 მილიონი მანეთის კრედიტი მეთამბაქოებისათვის და მელვინეებისათვის სესხის მისაცემათ. („კრ. ზნ.“ № 21).

სიტყვით სოციალიზმი, სინამდვილეში კი სახელმწიფოს სესხი კერძო მესაკუთრეებს, ბალშევიკების სიტყვებით რომ გამოვთქვათ—„კულაკებს“.

**პიტერის და მოსკოვის მუშებს.** მე-9 რე დივიზიის რაზმის მედიცინურმა პერსონალმა დაადგინა, ყოველ დღე, ერთი თვის განმავლობაში, გადასდოს ნახევარი გირვანქა პური პიტერის და მოსკოვის მუშებისათვის. აგრეთვე წინადადება არის აღძრული შეაგროვონ შემოწირულებანი ფულით ხორბალის საყიდლათ და წითელ სახალხო ქალაქების მუშებისთვის გასაგზავნათ. კრებაზე მოხდა პირველი შეგროვება მუშებისათვის. შეგროვდა ხორბლის საყიდლათ 15,000 მანეთი („კრ. ზ. № 21).

რა დამყარდა დაბოლოს რუსეთში—სოციალიზმი, თუ მათხოვრობა?!...

**სპეკულიაცია აბანოში.** იმ დროს, როდესაც გარშემო ლაპარაკია სპეკულიაციასთან ბრძოლის აუცილებლობაზედ, კერძო აბანოში, ბორზიკოვის ქუჩაზე, იღებენ ტანისამოსის შესანახად 25 მან. მაშინ, როდესაც თვით ბილეთი (სამხედრო) ჰღირს 37 მ. 50 კ. დაუშვებელია წითელ არმიელებისაგან, რომლებიც თვეში ჰღებულობენ 800 მანეთს, იღებდნენ 25 მ. ტანისამოსის შენახვაში ერთი საათის განმავლობაში. („კრ. ზნ.“ № 26).

ბალშევიკები კი სწერენ: სპეკულიაცია მოვსპეთ. აბანო ხალხს უფასო აქვსო...

**თავის თავი თითონვე გასცეს.** 27 აპრილს ანდრიუკოვსკის სადგურზედ მივიდა კავალერიის რაზმი და თავისი თავი „შკუროვცებათ“ გამოაცხადა. რაღაც ნახევარ საათში მთელი ეკლესიის მოედანი შკუროს კეთილ-მოსურნეებით გაივსო. რაზმის „პოლკოვნიკმა“ შეკრებილებს ანტი-ბალშევიკური სიტყვით მიმართა და სთხოვა დახმარება ბალშევიკების რაზმის წინააღმდეგ. აზრდიუკოვცები დიდი სიხარულით შეხვდნენ. დაიწყო მუქარები ბალშევიკების წინააღმდეგ. რაზმს მისცეს 7 ადგილობრივი ბალშევიკი. „შკუროს მიმდევრები“ დაჰპირდნენ არა მარტო იარაღი და ცხენებს, არამედ—ხალხის მიშველებაც. მაგრამ მოსულებმა ველარ შეიკავეს თავი. აღმოჩნდა, რომ ისინი არიან არა შკუროს მიმდევრები არამედ ნაწილი იმ წითელი არმიისა, რომელსაც მიჰყავს მშრომელი ხალხი განთავისუფლებისაკენ. უნდა, გენახათ ანდრიუკოვსკის კონტრ-რევოლიუციონერები ისინი იდგნენ თავებ ჩაქინდრულნი შეგინებულნი („კრ. ზნ.“ № 28).

ეტყობა, ვერც სიწყნარის მხრით არის რიგზე ყველაფერი საბჭოთა სამეფოში!..

**დაუშვებელი მოვლენა.** კვირას, 23 მაისს, მუშაობდა 2000 კაცამდე, მაგრამ არ სჩანდნენ (მცირე გამონაკლისს გარდა) სახალხო მეურნეობის საბჭოს მოსამსახურენი. 26 მაისი, „ვოსკრესნიკის“. გაგრძელება იყო. მუშაობდნენ დამბის ასაგებლათ, იმისათვის რომ მნიშვნელოვანი ქარხანა „კუბანელი“, რომელიც მუშაობს ტრანსპორტის არევ-დარევის მოსასპობათ და აღსადგენათ, არ დაფარულიყო წყლით მდინარე ყუბანის გადიდების დროს. მუშაობდა 1500 კაცი და კვლავ სახალხო მეურნეობის საბჭოს მოსამსახურეებიდან, რომელთა რიცხვი არის არა ნაკლებ დამბის ასაშენებლათ მომუშავე მუშების რიცხვისა მუშაობდა მხოლოთ 5—10 კაცი. საკითხავია—განა არ არიან ესენი წევრები მშრომელთა ოჯახისა! თუ ესენი თავიანთი ტყავის გადასარჩენათ საბჭოში შემძვრალი და ამინდის მომლოდინე ბურჟუები? დაამტკიცეთ, ამხანაგებო, რომ ეს ასე არ არის. („კრ. ზნ.“ № 30).

ამგვარ მუშაობას შრომის ფრონტზე ბალშევიკები ეძახიან ერთსულოვანს.

# „წითელ“ ადერბეიჯანში

(გაზეთებიდან).

**ნაციონალიზაციის გარშემო.** ჯერჯერობით განზრახულია მოხდეს ნავთის მსუვილი წარმოების ნაციონალიზაცია. ბაქოს „კომუნისტი“ სწერს: „საღამოთი „ნარკომზდრავიას“ საფარმაცევტო განყოფილების განკარგულების თანახმად გადაყენებულ იქნენ აფთიაქების პატრონები, მათი მოკეთენი და გამგეები. თვითეულ აფთიაქში გამგეებათ დაყენებულ იქნენ განსაკუთრებული პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ფარმაცევტთა კავშირის წინაშე. მოხდა მედიკამენტების აღწერა“. („კომუნისტი“)

ბაქოს პროლეტარიატს ჯერჯერობით მოსკოვისთვის საჩუქრად მედიკამენტეარ გაუგზავნია. „მედიკამენტების აღწერის“ შემდეგ უნდა მოველოდეთ ასეთი საჩუქრების გაგზავნასაც...

**ლენინის წითელი ქარხანა.** ტაგიევის ქარხანაში მიტინგზე საპატიო ამხანაგებმა ნარიმან ნარიმანოვმა და ალიგეიდარ-კარაევმა დაახასიათეს საერთოდ ადერბეიჯანის და კერძოთ ბაქოს ეხლანდელი მდგომარეობა. მათი აზრით კონტრ-რევოლიუციონური პარტია მუსავატი ავრცელებს სხვადასხვა პროვოკაციულ ხმებს, რითაც სუსტდება ხალხის ნდობა საბჭოთა მმართველობისადმი. ერთხმად გამოტანილ იქნა რეზოლიუცია: მთელი ძალით იქნეს დაცული საბჭოთა მთავრობა. დაერქვას ტაგიევის ქარხანას—ლენინის წითელი ქარხანა, („კომუნისტი“ № 26).

წითელი დაფა, წითელი საჩუქარი, წითელი ჯარი, წითელი ქარხანა—ერთი სიტყვით, წითელი და წითელი! გარეგნობა წითელი, შიგნით—შავი... აი ბალშევიკების შინაარსი...

**„წითელი ვარსკვლავის“ უნივერსიტეტში.** დღეს, 6 ივნისს, „წითელ ვარსკვლავის“ უნივერსიტეტში ლექციები არ შესდგება. ორშაბათს, 7 ივნისს, ამხ. სერგეი გოროდეცკი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზედ: „ამიერ-კავკასიის ხალხთა ნაციონალური კულტურა“. დასაწყისი სრულ 6 საათზედ. („კომუნისტი“ № 29).

თფილისში „კავკაზსკოე სლოვოს“ თანამშრომელი, ბაქოში—„წითელი ვარსკვლავის“ უნივერსიტეტის „პროფესორი“ ეს არის სერგეი გოროდეცკი!..

**„სუბოტნიკი“.** 4 ივნისს მოეწყო მე-11-ე არმიის ყველა იაჩეიკების სუბოტნიკა. თვითეულმა იაჩეიკამ გამოჰყო სამუშაოთ შვიდი კაცი. მუშაობა მდგომარეობდა გოსპიტალში საწოლების გადატანაში და განჯიდან ჩამოყვანილ დაჭრილ და ავათმყოფ წითელ არმიელების განაწილებაში. მუშაობა სასწრაფო ხასიათის გამო, სწარმოებდა პარასკევსაც („კომუნისტი“ № 24).

არც ისე უმნიშვნელო ყოფილა განჯის აჯანყება, როგორც ამის შესახებ ადგილობრივი ბალშევიკები სწერდნენ.

**სურსათ-სანოვაგე.** სასურსათო განყოფილებამ გამოსცა შემდეგი განცხადება: „განჯასთან კავშირის დროებით გაწყვეტის გამო, 3 მაისიდან (?) უქმდება წინანდელი რაციონები და წესდება შემდეგი წესი: მუშას ეძლევა გირვანქა პური ერთი მეოთხედი გირვანქა ბრინჯი ყოველ ოჯახის წევრს—ნახევარი გირვანქა ბრინჯი, ხოლო პური სრულიად არ ეძლევა, ბრინჯი ეძლევათ ხუთი დღის ერთად, და ოჯახის წევრთათვის ეს გაცემა სწარმოებს პურის ჩეკებით, მუშებისათვის კი სასურსათო წიგნაკში ჩაწერით. („კომ.“ № 26).

ახლა განჯასთან კავშირი აღდგენილია ცეცხლითა და მახვილით, მაგრამ სურსათი ბაქოს მაინც არ აქვს. სანამდე უნდა ჰკვებონ ხალხი ბალშევიკებმა დაპირებით?..

**მიმოსვლა ბაქო-დარუბანდს შორის.** ბაქოდან ჩამოსული პირების ცნობით ბაქოსა და დარუბანდს შორის მიმოსვლა ამ ჟამად შეწყვეტილია. ბაქოში ხმები გავრცელდა იმის შესახებ. რომ დაღესტანში ამბოხებებიაო.

განა წითელი დაღესტანი გაშავებას აპირებს?..

**თურქების რაზმი.** ბაქოს „კომუნისტის“ გადმოცემით ბაქოში ეწყობა ოსმალ კომუნისტთა რაზმი.

ვინ იქნება კომანდირი—ენვერი თუ მუსტაფა?..

**მუშათა წერილები.** მუშა დორონდოვის სწერს: „რა კეთდება ქარხნებში? მუშაობენ კატიოლშჩიკები, დასცლიან ნახევარ ქვაბს—მორბის გამგე: გვეყოფა, ჩვენ მეტი არ გვინდა“. მუშაობს მეურმე, მოაქვს ქვიშა და ხვალ იმას ეუბნებიან: ეყოფა, ჩვენ მეტი არ გვინდა. სპეკულიანტები, ბირჟევიკები და მედუქნეები კი უფრო სუფთად მუშაობენ. დღეს მიდიხარ ქუჩაზე და იყურები: ყველა მაღაზიები სავსეა სხვადასხვა საქონლით; მიდიხარ მეორე დღეს და თითონ გიკვირს: რა იქნა ყველა ეს—მაღაზიები დაცარიელდა, არაფერი არ არის. გუშინ პური ღირდა 500 მ., დღეს ჰღირს 150 მ. შედიხარ დუქანში ქიშმიშის საყიდლად. გაძლევენ ქიშმიშს, ჰკითხავ რა ღირს გირვანქა,—150 მ.—რათაა ეგრე ძვირათ,—იმიტომ, რომ მოვიდნენ ამხანაგები. რაკი მოვიდნენ—იაფათ არ უნდა ჰყიდოთ.—დიახ, მაგრამ ქიშმიში ცოტაა, მხოლოდ შენ, როგორც მუშას გაძლევ იაფათ, იმიტომ, რომ თითონ ბალშევიკი ვარ!“ („კომ.“ № 26)

გაერკვევა კი კომუნისტი ამ აღმოსავლეთურ დიპლომატიაში?! მუშტი ყველაფერს შესძლებს.

# ჩრდილო-კავკასიაში

(ჩამოსულის ნაამბობი).

ბაქოდან კავკავით ჩამოსულ პირის გადმოცემით ბაქოდან კავკავში რკინის გზით ჩამოსვლას ის 6 დღე-ღამეს მოუნდა. ბევრს ალაგას, განსაკუთრებით გროზნასა და გუდერმესის შუა, ლიანდაგი აყრილია, მატარებელს აჩერებენ და ლიანდაგს ასწორებენ. ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის: ლეკები უაღრესათ მტრულათ არიან განწყობილნი საბჭოთა მთავრობისადმი და ყოველ ღამ აფუჭებენ ლიანდაგს, ხან აქ და ხან იქ. მოძრავი საშუალება საბოლოოდ გაფუჭდა. ბაქოსა და კავკავს შუა ეხლა დადის მხოლოდ ის ორთქლმავლები, რომელიც საქართველოს ეკუთვნის და ბოლშევიკებმა ადერბეიჯანში ჩაიგდეს ხელში.

(გაზეთებიდან)

**კავკავის გარნიზონისადმი.** ამა წლის 15 ივნისის ბრძანებაში, აღნიშნულია კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების გაძლიერება; ამის აღმოსაფხვრელათ, სხვათა შორის, წინადადება ეძლევა, ვისაც კი იარაღი აქვს, ჩააბაროს იგი 12 საათის განმავლობაში გარნიზონის უფროსს. ვინც ამ ვადის შემდეგ შეპყრობილი იქნება იარაღით ან გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდება იარაღი, იგი დახვრეტილი იქნებაო.

ასეთი „სწრაფი სასამართლო“ ანუ „სამოსუდი“ ამტკიცებს, რომ ბალშევიკების მდგომარეობა მაგარი არ უნდა იყოს...

**ბავშვების უფასო გამოკვება.** გროზნოში მწვავე სასურსათო კრიზისის გამო დადგენილია შემოღებულ იქნას მუშების და მოსამსახურეების ბავშვების უფასოდ გამოკვება. („კომუნ.“ № 56).

მუშებს ვინ გამოკვებავს?!

**„ყველაფერი გამარჯვებისათვის“.** „თუ ჩვენ მოვახერხებთ განვავითაროთ ეს გამარჯვება (კიევის აღების შემდეგ), ამას შეუძლია შეასრულოს გადამწყვეტი როლი. ამ ომის დასასრულში ის უნდა გახდეს დასაწყისად წითელ არმიის მკვეთრი შეტევისა მინსკზედ და ვარშავაზედ“. („კომუნისტი“ № 56).

# ბალშევიკების მუშაობა საქართველოს გარეთ

ჩვენ ხელში ჩაგვივარდა კავკავის კომუნისტების გაზეთი „კომუნისტი“. აქ აშკარად არის გამოფენილი ყველაფერი ის, რასაც ჩვენში ჩუმად აკეთებენ ბ.ბ. ბალშევიკები. სწერენ, რომ „სამხრეთ ოსეთის მშრომელი ხალხი აღსდგა, ჩამოაგდო ქართველ სოციალ-შოვინისტების მენშევიკების მთავრობა. ზოგიერთ რაიონებში საბჭოთა მთავრობაა ჯერ კიდევ ამა წლის 8 მაისს აჯანყებულებმა აიღეს ჯავა, ცხინვალი და სხვა ადგილები. მენშევიკური ჯარის ნაწილები ჯავაში და ცხინვალში სამხრეთ-ოსეთის კომუნისტურ რაზმების მიერ შეპყრობილნი არიან პულემიოტებით დ სხ. იარაღებით. აჯანყება ვითარდება და მიმდინარეობს ორგანიზაციულათ რუს. კომ. პარ. სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის და სამხრეთ ოსეთის 17 კომუნისტურ რაიონულ კომიტეტების წევრების ხელმძღვანელობით. ბევრმა მენშევიკურმა ნაწილებმა—ჯარისკაცებმა აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი განაცხადეს. ჟორდანიას და კომპ. მთავრობა სასტიკათ გაუსწორდა უკანასკნელებს ეგრედ წოდებულ „სახალხო“ გვარდიის და აზნაურულ-ოფიცრულ პოლკების დახმარებით. დაჰხვრიტეს ბევრი ჯარისკაციო და სხ.“

ასეთი ყალბი ცნობების შემდეგ, რომელიც რა თქმა უნდა განზრახ არის შეთხზული იმ ხალხის მოსატყუებლათ, რომელთაც საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ამზადებენ, ოსურ გაზეთ „კერმენიდან“ „კომუნისტს“ მოჰყავს სხვათა შორის, შემდეგი ადგილი:

„თუ საბჭოთა მთავრობამ შეჰკრა ზავი საქართველოს მთავრობასთან, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხვალ არ გვექნება შეძლება ველაპარაკოთ საქართველოს მუშებს და გლეხებს ჩვენს ენაზე, გვაპატიონ ქართველმა მუშებმა და გლეხებმა ვადის გაგრძელება; ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება, რომ კავკასია საბოლოოდ საბჭოთა კავკასიად უნდა გახდეს. („კომუნისტი“ № 57)

ქართველმა მუშებმა და გლეხებმა თავისი გვარდიისა და ჯარის სახით შესაფერი პასუხი გასცა ჯავის ხეობაში ჩრდილოეთიდან შემოსეულ და მპყრობელთ. ასეთსავე პასუხს გასცემს მომავალშიაც. ეს კარგათ უნდა გაიკვეთონ, როგორც ოსის, ისე რუსის და სხვა ჯურის კომუნისტებმა, „ველიკოდერჟავნიკებმა“ თუ მათმა კუდებმა.

# თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

19 ივნისი.

**ჩეჩნეთი.** მდგომარეობა გამოურკვეველია. ყოველ წუთში მოსალოდნელია აჯანყების დაწყება. საბჭოთა მთავრობას ჩეჩნები ეჭვის თვალით უყურებენ. ხშირი რეკვიზიციების გამო აღშფოთება იზრდება. მთებში ბევრი ბალშევიკებისაგან გაქცეული ოფიცრები და ყაზახები იმალებიან. ჩეჩნებს დიდძალი იარაღი და საომარი მასალა აქვთ დამალული.

**ინგუშეთი.** დამოკიდებულება ინგუშებსა და საბჭოთა მთავრობას შორის თან და თან მწვავდება. ინგუშები კავკავში სრულიად არ ჩნდებიან. მიუხედავათ ამისა, კავკავში მაინც მოქმედობს ინგუშთა რევკომი. დაწყებულმა განიარაღებამ მიზანს ვერ მიაღწია. მთებში შეიარაღებული რაზმები იკრიბებიან, თუმცა ჯერ მნიშვნელოვანი შეტაკება არ ყოფილა.

**ნოვოროსიისკის აღება.** ბათომში ინგლისის მისიამ ცნობები მიიღო გენ. ვრანგელის მიერ ნოვოროსიისკისა და ტუაპსის აღების შესახებ.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

19 ივნისი.

**ბალშევიკების ცნობები.**

**სამხედრო ცნობა.**

**მოსკოვი.** ივნ. 18. კოროსტენის მიმართულებით რკინის გზის გასწვრივ უკან დახეულ მტერს ვავიწროვებთ. ვინიცისა და ჟმერინკის მიმართულებებზე პოლონელები უშედეგოთ სცდილობენ შეაჩერონ წინსვლა ჩვენი ნაწილებისა, რომელნიც ვინიცა-იამპოლის ქალაქთა ხაზს უახლოვდებიან.

**შრომის დაცემის გარშემო.**

ტულაში რკინის გზის მთავარი ტრიბუნალი არჩევდა საქმეს ტულის რკინის გზის სახელოსნოების ნაყოფიერების დაცემის საქმეში დამნაშავეთ. ბრალი ედებოდა კომისრებს, ადმინისტრაციას და მუშებს. საბრალმდებელო ოქმში აღნიშნული იყო მძიმე სურათი ბოროტ გულგრილობისა და დაუდევრობისა. იმ პირებს, რომელნიც დამნაშავენი აღმოჩდნენ საქმის გაცდენაში სპეკულიაციის მიზნით, მიუსაჯეს 10 წლის სავალდებულო მუშაობა. მილიციონერს, რომელმაც თავის პოსტზე დაიძინა, მიუსაჯეს 8 წელი, კომისრებს და საადმინისტრაციო შემადგენლობას, რომელთაც ყოველგვარი ზომა არ მიიღეს ტრანსპორტის აღსადგენათ, სავალდებულო მუშაობა მიუსაჯეს.

# ახალი ამბები

**ბათომის ამბები.** ბათომის სადგურის უფროსმა 18 ივნისს დეპეშა გამოგზავნა, რომ ინგლისელები ანადგურებენ ფორტების დიდ კალიბრის ზარბაზნებსო. ბარცხანის ფორტიდან ჩამოიღეს და ააფეთქეს ყველა ზარბაზნები, ასევე ეპყრობიან სხვა ფორტებსაც. დამატებითი ცნობებით ბათომში გამეფებულია აზრი, რომ ინგლისელებმა გადასწყვიტეს თვით ფორტის აფეთქებაცო. ქალაქში შორიდან აფეთქების ხმა ისმის. ქალაქში მღელვარებაა. გამოურკვეველ მდგომარეობას უფრო მეტი ნერვიულობა შეაქვს მცხოვრებლებში. მთავრობის წარმომადგენლები გაჩუმებულნი არიან და არავითარ განკარგულებას არ იძლევიან მახლობელ პერსპექტივების შესახებ. ჩვენი ცნობით საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა ამის გამო პროტესტი განუცხადა ინგლისის კომისარს საქართველოს მთავრობის სახელით. (სდს).

◆ **ბათომში სასწრაფოდ გაემგზავრა** 19 ივნისს ექსპლუატაციის უფროსი აბელოვი. მისი წასვლა დამოკიდებულია ბათომის სად. უფროსის განცხადებაზე აფეთქების შესახებ. აბელოვს წინადადება მისცეს,—მიიღოს შესაფერი ზომები სახელმწიფო ქონების გადასარჩენად და დააჩქაროს ქალაქიდან ნაყიდ სურსათის და უმთავრესად ამერიკული ფქვილის გამოზიდვა.

◆ **პურის ღირსების გაუმჯობესება.** შრომის სამინისტრომ მიმართა თფილისის ქალაქის მოურავს თხოვნით, რომ მან მიიღოს ზომები მუშათა მაგ იდისათვის იმ პურის გაუმჯობესების შესახებ, რომელიც ქალაქის ფურნეებში ცხვება. შრომის სამინისტრო აღნიშნავს, რომ იგი აგზავნის წმინდა ხორბალს და მუშებისაგან შემოდის საჩივარი იმის შესახებ. რომ მიღებული პური ყოველთვის არ არის კარგი ღირსების.

◆ **იმ კომუნისტებმა,** რომელთაც ბრალი ედებათ საქართველოს არსებული წყობილების წინააღმდეგ არა ლეგალურ მუშაობაში და აჯანყებულებთან კავშირში და რომელნიც საქართველოს ქვეშევრდომნი არ არიან, 3 დღის განმავლობაში უნდა დასტოვონ საქართველოს საზღვრები. კომუნისტების ერთმა ნაწილმა უკვე აღასრულა ეს მოთხოვნილება. ვინც არ აასრულა ისევ დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს.

◆ **იტალიის წარმომადგენლის ჩამოსვლა თფილისში.** იტალიის მისიის ცნობით პოლკოვნიკ გაბბას მოადგილე ბ. მერკატელი თფილისში ჩამოვა 21 ივნისს. თფილისიდან წასვლის წინ, 18 ივნისს პოლკ. გაბბამ გამოსათხოვარ სიტყვაში აღნიშნა ის მეგობრული და-

მოკიდებულება, რომელიც იტალიასა და საქართველოს შორის დამყარდა. გეგეჭკორმა მადლობა გადაუხადა გაბბას საქართველოსადმი კეთილ-მეგობრულ დამოკიდებულებისათვის და აღნიშნა, რომ პოლკ. გაბბას მოქმედების წყალობით შესაძლებელი გახდა იტალიასა და საქართველოს შორის მეგობრული განწყობილების დამკვიდრებაო.

◆ **19 ივნისიდან იხსნება** დროებით შეწყვეტილი საერთაშორისო ტელეფონი თბილის-განჯა-ბაქოს შორის. ტელეფონით ლაპარაკი იქნება ჩვეულებრივი წესით.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოება.** დღეს, 20 ივნისს, დილის 11 ს. ქართულ სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია საქართ. რესპუბ. წ. კ. გ. საზ. რწმუნებულთა წლიური მორიგი კრება.

◆ **სატარიფო პალატის განმარტება.** საქართველოს დეპეშათა სააგენტოს საინფორმაციო განყოფილების შეკითხვაზე სატარიფო პალატამ განმარტა, რომ მუშებისა და მოსამსახურეებისადმი დახმარების შესახებ გამოცემული ინსტრუქცია ეხება საერთოდ ყველა მუშასა და მოსამსახურესო.

◆ **მუშათა საერთო კოოპერატივი.** 17 ივნ. სხდომაზე პრ. კავ. საბჭოს სეკრეტარიატმა კოოპერატივთა ცენტრ. კავშირის წარმომადგენლებთან ერთად განიხილა საკითხი მუშათა საერთო კოოპ. დაარსების შესახებ. თათბირმა დაადგინა ზომები მიიღოს, რათა მუშათა შორის კოოპერატივის იდეის ფართე პროპაგანდა ხდებოდეს. ამ საკითხის დასამუშავებლად და ცხოვრებაში გასატარებლად შეადგინეს კომისია 6 კაცისაგან, 3 პროფ. კავშირიდან, 3 კოოპერატივის ცენტრ. კავშირიდან. თათბირზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს აღნიშნეს მიზანი ამ კოოპერატივისა, რომელიც მუშათა მაგიდისთვის განმანაწილებელ აპარატათ იქნება. იმავე დროს მუშათა კოოპერატივმა თავისთავზე უნდა მიიღოს მუშების უზრუნველყოფა პირველი საჭიროების ნივთებით.

◆ **სახელმწიფო** რეალურ სასწავლებლის ბალი, რომელიც უნდა გამართულიყო 19 ივნისს, გაიმართება სამშაბათს, 22 ივნისს.

**კრებები.**

ორშაბათს, 21 ივნისს, საღ. სრულ 6 ს. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა. ბიუროს წევრებს სთხოვენ მობრძანდნენ ერთი საათით ადრე.

— დღეს, კვირას, დილის 11 ს. შესდგება წლიური კრება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების, საბებიო ინსტიტუტის შენობაში.

— დღეს, საღ. 7 ს., კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის ბინაზე (ოლღას ქ. № 40) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— სამშაბათს, 22 ივნისს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია თფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის მორიგი სხდომა.

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

1) პარკის და აბრეშუმის შესყიდვის უფლება აქვთ იმ საერობო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირთ, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სამინისტროდან.

2) როგორც აღნიშნული ორგანიზაციები ისე კერძო შემსყიდველები ვალდებულნი არიან შეთანხმებულათ იმოქმედონ პარკის ოპერაციის საქმეებით.

3) მეაბრეშუმეს ფუთ პარკში პირველ ხარისხისაში ნედლში მიეცემა 3000 მ. მეორე ხარისხის პარკში—2800 მან.

4) პარკის მიმღებთ ევალებათ იქონიონ მთავარ რწმუნებულის პირადი კვიტანცია მიღებულ პარკის და ფულის რაოდენობის აღნიშვნით.

5) მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები, თორემ მთავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ვერ მიიღებენ.

6) იმ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელთაც სამინისტროსაგან არ აქვთ დავალებული პარკის შესყიდვა, სასტიკათ ეკრძალებათ ბაზარზე მყიდველებათ გამოსვლა და პარკის ყიდვა, ვინაიდან პარკზე მონოპოლია არის გამოცხადებული.

7) ამ დადგენილების მე-6 მუხლის დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით, ხოლო შესყიდული პარკი კი ჩამოერთმევათ უფასოთ.

მიწათ მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

მომარაგების მინისტრი **გ. ერაძე.**

მთავარი რწმუნებული **ს. ქუთათელაძე.**

**აბრეშუმის პარკის ფასები.**

როგორც მოსალოდნელი იყო, აბრეშუმის პარკის ფასები, ახალი მოსავლის წინ ცოტათი დაეცა, მაგრამ უცხოეთიდან მოსულ დეპეშების ცნობებმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბა: აპრილსა და მაისს პარკის ფასები მარსელში 96 ფრანკამდე ავიდა, მაგრამ როგორც კი გამოირკვა, რომ პარკის ახალ მოსვლამდე, თითქის ყველა საბრეშუმო ქვეყნებში კარგი პირი უჩანს, მსოფლიო ბაზარზე ფასების დაცემამ კატასტროფული ხასიათი მიიღო და 300%-ზე მეტით დაიკლო, ამ უკანასკნელ დღეებში ორი დეპეშა მივიღეთ მარსელიდან: პირველის ცნობით ახალ შემოსული პარკი—15 ფრანკათ იყიდება კილო, ხმელი 45 ფრანკათ; მეორე დეპეშის ცნობით ნედლი პარკის ფასები 12 ფრანკამდე დაეცა და ხმელის—35 ფრანკამდე, მოსალოდნელია ფასების კიდევ დაცემა", მაგრამ მიუხედავათ მსოფლიო ბაზრის ცუდი მდგომარეობისა; (კონიუკტიურისა) მთავრობამ მაინც გამოაცხადა პარკზე შემდეგი ფასები, რომელიც მას შემუშავებული ჰქონდა მსოფლიო ბაზრის მარტის და აპრილის მაღალი ფასების მიხედვით: ნედლი პარკი ფუთი პირველი ხარისხის—3000 მანეთი, მეორესი—2800 მანეთი და მესამესი—2500 მანეთი. აღნიშნული ფასები მიეცემა მეაბრეშუმეებს რესპუბლიკის ყველა რაიონების პარკის ბაზარზე.

გარდა ამისა, თუ პარკის ფასი შემდეგში აიწევს და ამ ოპერაციიდან მოგება დარჩება, მოგების 30%, როგორც ეს მთავრობას უკვე დადგენილი აქვს, დამატებით მიეცემათ მეაბრეშუმეებს.

## საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა

**16 ივნისი, საღამოს სხდომა.**

მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება. სულ დამტკიცდა 141 მანდატი.

**ს. თევზაძის** წინადადებით ცალკე კომისიებს გადაეცა წინასწარ განსახილველად და სათანადოთ დასამუშავებლად შემდეგი საკითხები: პროფესიონალური მოძრაობა, კოოპერ. მოძრაობა, მუნიციპალური პოლიტიკა, პარტიული გამომცემლობა, და ჯარი და სახალხო გვარდია.

ყრილობა გადადის ისევ კონსტიტუციის ძირითადი დებულებების განხილვაზე. ისმება საკითხი პრეზიდენტის სისტემა თუ უპრეზიდენტო რესპუბლიკა?—

ამ საკითხის შესახებ ცენტრალურ კომიტეტს შეაქვს შემდეგი შესწორებანი.

75 მუხ. მთავრობას ყავს თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს არის რესპუბლიკის თავმჯდომარე.

მუხ. 76 მთავრობის და რესპუბლიკის თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით.

მუხ. 79. რესპუბლიკის თავმჯდომარე სცემს ბრძანებებს და განკარგულებებს კანონის ასრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს მათი მოქმედება შეაჩეროს, ან შესრულება დააბრკოლოს. რესპუბლიკის თავმჯდომარე ნიშნავს ელჩებს უცხო სახელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებიან მასთან.

მუხ. 80. მთავრობის თავმჯდომარეს ყავს მოადგილე მისი არჩეული.

მუხ. 82. დაემატოს: თვითეული მინისტრი დამოუკიდებლათ და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით უძღვება მისთვის მინდობილ საქმეს.

მუხ. 83. მთავრობის თავმჯდომარე ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებებს და აასრულოს იგი, ამისდა მიხედვით მოახდინოს კიდეც შეცვლა ცალკე მინისტრის, ან გარდაქმნა მთელი კაბინეტის. თუ მას და პარლამენტს შორის აღმოჩნდა პრინციპიალური განსხვავება საერთო პოლიტიკაში, თავმჯდომარეს შეუძლია დასვას საკითხი პარლამენტის წინაშე თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. მინისტრები უნდა გადადგნენ, როცა დაკარგავენ პარლამენტის ნდობას.

მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა, მხოლოდ მაშინ, როცა დეპუტატათ ირიცხება. ასეთი იყო შესწორებები ცენტრალური კომიტეტისა. ამის გარშემო გაიმართა კამათი.

**ნ. იმნაიშვილი** ამტკიცებს, რომ რესპუბლიკის თავმჯდომარე იგივე პრეზიდენტიაო. ერთის მხრივ აქ ებრძვიან პრეზიდენტის სისტემას, მეორეს მხრივ კი კონდრაბანდათ ატარებენ იმავე სისტემასო. ორატორი აღნიშნავს, რომ თვით რესპუბლიკის თავმჯდომარე, ეს მიუღებელია, ვინაიდან თავმჯდომარე შეიძლება ყავდეს რომელიმე ორგანოს, კავშირს, რესპუბლიკას კი არ შეიძლება ყავდეს თავმჯდომარეო. ის მომხრეა დარჩეს დამფ. კრების კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი სადაც ნათქვამია, რომ მთავრობის თავმჯდომარე იმავე დროს არის რესპულიკის უმაღლესი წარმომადგენელი.

**ნ. რამიშვილი** იცავს ცენტრალურ კომიტეტის შესწორებას და ილაშქრებს პრეზიდენტის სისტემის წინააღმდეგ. პრეზიდენტი, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენი შესწორების დედა აზრი სრულიად არ გულისხმობს პრეზიდენტს.

**დ. თოფურიძეც** იცავს ცეკას შესწორებას და ეკამათება ნ. იმნაიშვილს. საქმე სიტყვებში არ არ არის, არამედ იმ შინაარსში, რომელიც შიგ არის ჩადებულიო.

**კ. ჯაფარიძე** აღნიშნავს, რომ ცეკას მიერ წარმოდგენილი პროექტი ძალიან წააგავს პრეზიდენტის სისტემას, მხოლოდ ცოტა განსხვავებით. საფრანგეთში ირჩევენ 7 წლით, ჩვენში კი პროექტის ძალით მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევენ ერთი წლით ორატორი ამტკიცებს, რომ ფაქტიურათ თავმჯდომარის ვადით არჩევა პასუხის მგებლობათ იქცევა, თუ მთავრობა გადადგა, მთავრობის თავმჯდომარეც გადადგება და ეს გარემოება ვერავითარ სიმტკიცეს ვერ შეიტანს მთავრობაში. არც საერთაშორისო ურთიერთობის მოსაზრებით არის მისაღები წარმოდგენილი შესწორება. ორატორი იცავს კომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებას.

**აკ. ჩხენკელი.** წარმოდგენილ შესწორებაში, პრეზიდენტის სისტემაც არის და უპრეზიდენტოც. აქ არ არის ერთი რომელიმე სისტემა საფუძვლათ აღებული. ჩემის აზრით ყრილობამ უნდა მიიღოს მხოლოდ ძირითადი დებულებები და დეტალიზაციას ერიდოს. შემდეგ ორატორი აკრიტიკებს ცეკას შესწორებას და ამბობს: აქ სწერია, რომ მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს ბრძანება გასცეს კანონის ასრულებისათვის, ბრძანების გაცემის უფლება არც ერთ ქვეყნის პრეზიდენტს არა აქვს. ამის უფლებას მით უმეტესს ვერ მივცემთ დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. თუ გინდათ გქონდეთ დემოკრატიული სახელმწიფო, სასტიკათ უნდა განსაზღვროთ მთავრობის თავმჯდომარის უფლებები. წარმოდგენილ შესწორებაში არის ერთი ასეთი უფლება განსაზღვრული მაგ. ელჩების დანიშვნა, ამას უნდა დაემატოს უმაღლეს მოხელეთა დამტკიცება, კანონების გამოქვეყნება, შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი გამგებლობა, მეთაურობა და სხვ. თუ ყველაფერ ამას მიიღებთ, მაშინ გამოგივათ პრეზიდენტის სისტემა, სადაც ფუნქციები სასტიკათ განსაზღვრულია და დემოკრატიზმი უაღრესად დაცულია.

**ირ. წერეთელი.** აღნიშნავს, რომ ამ ყრილობამ მართლა ძირითადი დებულებები უნდა გამოიმუშაოს, როგორც ეს ამხ. ჩხენკელმა სთქვა, მაგრამ სამწუხაროთ თვითონ ჩხენკელმა შიგა და შიგ ძალიან შესტოპა დეტალებში თქვენს წინ სდგას ორი პრინციპი: პრინციპი აღმასრულებელი ხელის უფლების გაყოფის, პრეზიდენტის სისტემის აღიარებით, და მეორე პრინციპი აღმასრულებელი ხელის უფლების გაერთიანების რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობასთან. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროექტი კონსტიტუციისა უაღრესად დემოკრატიულია, აქ არის პასუხისმგებლობაც, აქ არის დამორჩილების პრინციპიც, ამაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია ჯერ არამც თუ არ არის სადმე გატარებული, არამედ ჯერ თეორიაშიაც არ მოუგონიათ. ორატორი ამტკიცებს, რომ მთლიანობა აღმასრულებელი ხელისუფლებისა აუცილებლათ დაცულ უნდა იქნას და უარყოფილ უნდა იყოს მისი გაყოფა, მარტო პასუხისმგებლობა ნაკლებ გარანტიას იძლევა. მთავრობა და მისი თავმჯდომარე პასუხისმგებელიც უნდა იყოს და დამორჩილებულიც პარლამენტისადმი. პასუხისმგებლობა დამორჩილებასთან შეერთებული სავსებით უზრუნველყოფს დემოკრატიზმსო. ორატორი იცავს ცენტრალური კომიტეტის მიერ წარმოდგენილ შესწორებას.

**კ. ნინიძე** იცავს დამფ. კრების კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტს და სხვათა შორის ამბობს: ევროპაში არის მთლიანი პასუხისმგებლობა მთავრობისა, ეს არის საუკეთესოთ მიჩნეული დემოკრატიზმის თვალსაზრისით, მაგრამ ცხოვრებაში ეს პასუხისმგებლობა სრულებით ვერ ანხორციელებს დემოკრატიზმს და უაღრესად არა დემოკრატიულია. თუ რომელიმე მინისტრს პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა, მთავრობა მთლიანათ გადადგება. ეს კი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს პარლამენტს. იქნებ გინდა მხოლოდ ერთი მინისტრი წავიდეს და სხვების წასვლის შიშით მის წინააღმდეგაც ვერაფერი გითქვამს. ჩვენი კონსტიტუციის პროექტში ეს გარემოება აშორებულია. კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტში ერთგვარი სისტემაა დაცული, ხოლო ცეკას მიერ წარმოდგენილ შესწორებაში არ არის სისტემა დაცული, ის უსისტემოა. ეს არც გასაკვირველია, რადგანაც დამფ. კრების კომისია ერთ წელს მუშაობდა, ხოლო ცენტრალურ კომიტეტს ამის საშუალება არ ქონდა და მან ეს შესწორებანი შემთხვევით შეიმუშავა. რომ ეს შემთხვევით შემუშავებულია, ამას ისიც ამტკიცებს, რომ მაგალითად ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ქუთაისში პარტიულ ყრილობაზე დაჟინებით იცავდა იმ აზრს, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს უნდა მიენიჭოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობაო. ორატორს შეუძლებლათ მიაჩნია, რომ კონსტიტუციაში იყოს ნაჩვენები რესპუბლიკის თავმჯდომარე, ვინაიდან ეს იგივე პრეზიდენტიაო.

სიტყვა ეძლევა ამხ. ნოე ჟორდანიას, რომელიც სიტყვაზე უარს ამბობს და წინადადება შეაქვს, რომ, რადგანაც ეს საკითხი ასეთ დავას იწვევს, მასზე გაკეთებულ იქნას ცალკე მოხსენება. ყრილობა ამ წინადადებას იზიარებს და სთხოვს ამხ. ჟორდანიას მოხსენების გაკეთებას. ის თანხმდება. ყრილობა, მიუხედავათ სიგვიანისა (საღამოს 10 ს. 30 წუთ.) დაადგინა მოსმენილ იქნას ამ საკითხზე მოხსენება.

**ნ. ჟორდანია.** (მოგვყავს მისი მოხსენების მოკლე შინაარსი), ჩვენ ვარჩევთ ორგვარ რესპუბლიკას: პარლამენტარულს და დემოკრატიულს. უკანასკნელი არ ნიშნავს იმას, რომ მარტო ასეთი სახელი დაარქვა. არ კმარა ის, რომ საქართველოს დაარქვა დემოკრატიული რესპუბლიკა. დამფ. კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი არის აგებული პარლამენტარიზმზე და არა დემოკრატიზმზე. პარლამენტარული რესპუბლიკა არის გამოგონილი მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის მიერ პირველათ. მას ასეთი სახელი ტიერმა უწოდა საფრანგეთში, 1849 წ. პარლამენტარული რესპუბლიკის დახასიათება იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ძალა-უფლება პარლამენტშია თავმოყრილი, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო. ამ პარლამენტში არის გაბატონებული ერთი რომელიმე პარტია, ან ჯგუფი. იქ ხდება ბრძოლა, შეტაკება. შედეგი ამ ბრძოლისა ის არის, რომ კაბინეტი ხშირათ იცვლება. იქ არის მარტო პასუხისმგებლობა, დამორჩილება კი არ არის. ამიტომ, როცა რომელიმე მინისტრი მიდის, ის ცდილობს ინტრიგების საშუალებით ისევ დაუბრუნდეს თავის ალაგს, ასეთი ნამინისტრალი ადგენს ჯგუფებს, პარტიას და აწარმოებს ბრძოლას. მომხსენებელს იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ პარლამენტარიზმის დროს მორჩილება არ არის, მოყავს ინგლისის ცხოვრებიდან მაგალითი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ერთი სამინისტრო 10 მანეთის გულისათვის გადამდგარა. ასეთი მდგომარეობა მიუღებელია, ამბობს მომხსენებელი, მთავრობა არ უნდა იქნას გადაგდებული ინტრიგის საშუალებით. ამ პარლამენტარიზმმა ევროპაში უკვე მოჭამა თავისი დრო. ამის წინააღმდეგი ვარ მეც. ე. ი. მე ვარ პარლამენტარული რესპუბლიკის წინააღმდეგი.

რას ნიშნავს დემოკრატიული რესპუბლიკა? დემოკრატიული რესპუბლიკა იმას ნიშნავს, რომ მთელი ძალა-უფლება არ არის პარლამენტის ხელში თავმოყრილი, ის დაყოფილია პარლამენტს და ხალხის შორის. ხალხს აქვს უფლება რეფერენდუმით ჩაერიოს პარლამენტის საქმეებში, მას აქვს ინიციატივის უფლება, საბოლოო სიტყვა დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მაინც ხალხს ეკუთვნის. ხალხს შეუძლია კანონი უარყოს. დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიღებულია მორჩილების პრინციპი. შესაძლებელია პარლამენტმა ისეთი რამ დაადგინოს, რაც მთავრობას, ან რომელიმე მინისტრს არ უნდა, მაგრამ ისინი (მთავრობა და მინისტრები ცალ-ცალკე) ვალდებულნი არიან დაემორჩილონ პარლამენტის დადგენილებას და ის შეასრულონ.

აი თქვენს წინაშე არის ორი ფორმა რესპუბლიკისა: პარლამენტარული და დემოკრატიული. თუ გინდათ პარლამენტარული, მაშინ კონსტიტუციიდან ამოშალეთ რეფერენდუმი და ინიციატივის უფლება, თუ არა და ლოღიკა მოითხოვს, რომ შექმნათ ისეთი მთავრობა, რომელიც მოკლებულია მუდმივ შუა რყევას და ცვალებადობას. როგორც პარლამენტი არ უნდა გადადგეს, როცა ხალხი მის კანონს უარყოფს რეფერენდუმი ისე არც მინისტრი უნდა გადადგეს, როცა მის წინადადებას არ ღებულობს პარლამენტი. აქ უნდა ბატონობდეს პრინციპი დამორჩილების, ე. ი. პარლამენტი ემორჩილება ხალხის ვოტუმს, ხოლო სამინისტრო პარლამენტის ვოტუმს.

უნდა იყოს პრინციპი დამორჩილებისა, ეს არის უაღრესად დემოკრატიული, ამ პრინციპს ჩვენ დღესაც ვატარებთ. რამოდენიმე შემთხვევა იყო, რომ მთავრობის მიერ მიღებული კანონ-პროექტი პარლამენტმა უკან დააბრუნა, ანდა სრულებით უარყო, მაგრამ ამას ჩვენში კრიზისი არ გამოუწვევია. ჩვენ ვაწარმოებდით დამორჩილების პოლიტიკას. ამ რიგათ, თუ გინდათ პარლამენტარული რესპუბლიკა, ერთ საათში შევასწორებთ კონსტიტუციის პროექტს, ხოლო თუ გინდათ დემოკრატიული რესპუბლიკა, მაშინ უნდა მიიღოთ ცენტრალური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი შესწორებანი, შეგიძლიათ სიტყვები შესცვალოთ იმ შესწორებებში, მაგრამ აზრი, შინაარსი კი აუცილებლათ უნდა მიიღოთ. თუ ეს არ იქნა მტკიცე და ურყევი, მაშინ ის ვერ შესძლებს ცხოვრებაში გაატაროს ის სოციალური აღმშენებლობა, რომელიც თქვენ მე გუშინ წინ მოგახსენეთ და რომელიც თქვენ მიერ ერთხმათ იყო დადასტურებული.

ამ რიგათ, მთავრობის თავმჯდომარე პასუხს აგებს საერთო პოლიტიკისათვის, ის პასუხს ვერ აგებს ყველა იმაზე, რაც თვითეულ უწყებაში მოხდება. ამაში პასუხს აგებს მინისტრი. მთავრობის პოლიტიკა ურყევია, რადგანაც თავმჯდომარე ერთი წლით არის არჩეული, მინისტრის წასვლა ამ პოლიტიკას ვერ შესცვლის. თუ თქვენ მიიღებთ პარლამენტარიზმის პრინციპს, მაშინ თქვენ უნდა მიიღოთ ცალკე პრეზიდენტის არსებობა. ამას მოითხოვს ლოღიკა. მაგრამ, ვინც წინააღმდეგია პრეზიდენტის ცალკე არსებობისა (და ეს აქ არავის დაუცავს) მან აუცილებლათ უნდა გაიზიაროს ცენტრალური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი შესწორებანი. (ტაში).

## წერილები ფრონტიდან

### ხმა ფრონტიდან

1

ფრონტი მაშინ დგას თავის სიმაღლეზე, მაშინ აიტანს ის ყოველივე გაჭირვებას და ტანჯვას, რომ მასთან ერთად მთელი ერი გამსჭვალულია იმ აზრით და გრძნობით, რომ ყველამ თავისი წვლილი მიიტანოს საერთო საქმის სამსხვერპლოზედ.

როდესაც მეომარი გრძნობს, რომ უკან დარჩენილი ამხანაგებიც არ არიან უსაქმოთ, რომ ისინიც იზიარებენ მათ გაჭირვებას — უპატრონოდ დარჩენილ ოჯახებს დახმარებას უწევენ, მას ოჯახზედ ფიქრი ავიწყდება და სიხარულით მზათ არის სამშობლოს კეთილდღეობას თავი შესწიროს...

მაშასადამე, რესპუბლიკის ამ საბედისწერო ხანაში, ჩვენი დევიზი უნდა იყოს: „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის". —სიკვდილი ან გამარჯვება.

ფრონტზედ მყოფი ამხანაგები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ ეს მცნება სავსებით შეუგნია ქართველ ერს და ყველა, განურჩევლად რწმენისა და მდგომარეობისა, დღეს რესპუბლიკის ბედს დასტრიალებს.

რასაკვირველია, ამ საერთო ერთსულოვნებაში გამონაკლის შეადგენენ ზოგიერთი ავანტიურისტები და მოღალატენი.

ამიტომ ფრონტი მოითხოვს: სიკვდილი მოღალატეებს... სიკვდილი დეზერტირებს.

გულითად მადლობას ვუცხადებთ სამტრედიელებს და ხონელებს, რომლებმაც თავისი ამხანაგები, დღეს ფრონტზე მყოფი გვარდიელები არ დაივიწყეს და მოქალაქეებთა შორის შესაფერი მცირედი საჩუქარი მოგვაწოდეს. გვარდიელების სიხარულს საზღვარი არ ქონდა, საჩუქართან ბარათებს ნახულობდნენ წარწერით: „სალამი ფრონტს", „გაუმარჯოს ჯარს და გვარდიას" „იყავით მხნეთ", „თქვენს ოჯახს ჩვენ თქვენს მაგიერობას გავუწევთ და სხვა... და მართლაც, როგორც ჩამოსულთა ნაამბობიდან სჩანს, გვარდიელების და ჯარისკაცების ყანებს ყველაზე უწინ ამუშავებენ.

4 ივნისს ფრონტზე ჩამოვიდა თფილისის პროფესიონალური კავშირების თავმჯდომარე ხელაძე, რომელმაც საჩუქრები ჩამოიტანა ფრონტისთვის. ეს მეორე პარტიაა საჩუქრებისა.

დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ ჩვენ საშუალება მოგვეცა ახლო გავცნობოდით ჩვენ მოწინააღმდეგე ბოლშევიკ ჯარისკაცებს, რომლებიც გაკვირვებას გამოსთქვამენ, რომ ჩვენი ჯარისკაცები ასე კარგ პირობებში იმყოფებიან და მათ კი პურიც არ აქვთ სამყოფი. ტანისამოსზე ლაპარაკიც ზედმეტია. სხვათა შორის, ერთმა კომუნისტმა ჯარისკაცმა სთქვა: „თქვენ ბურჟუები ხართ და მიტომ გაქვთ თეთრი პური. ამაზე ერთმა გვარდიელმა უპასუხა: „თქვენში ბურჟუები თეთრ პურს თვითონ სჭამენ და თქვენ კი შავ პურს გაძლევენო, ჩვენში—თეთრ პურს ჩვენ ვსჭამთ და შავს ბურჟუებს ვაძლევთო". ამის შემდეგ ბოლშევიკებს არაფერი უთქვამთ. კარგი იქნებოდა ჩვენი „კომუნისტები" მოვიდოდნენ და თავისი თვალით დაინახავდნენ „სოციალიზმის დამყარებელ" ჯარს—წითელ არმიას, რომლის უმეტესი ნაწილი დენიკინის ჯარის ნაწილისაგან შესდგება.

4 ივნისს ფრონტზე ჩამოვიდა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი ამხ. საგირაშვილი, რომელსაც გრ. ურატაძესთან ერთად უმოგზაურია რუსეთში და ვრცელი მოხსენება გააკეთა რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობაზე. მოხსენება შინაარსიანი იყო და მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მან შეადარა ჩვენი რესპუბლიკა რუსეთს, რომელიც დღეს, მისი სიტყვით, საშინელ გაპარტახებულ ქალაქებს და სოფლებს წარმოადგენს და დასკვნა, რომ ჩვენი მდგომარეობა ასჯერ უკეთესია, ვიდრე რუსეთისო. ის საშინელი ქაოსი და ანარქია, რომელშიაც რუსეთი არის გახვეული, არავითარ იმედს არ იძლევა, რომ ის მალე დააღწევს თავს ამ უბედურებასო,—სთქვა ორატორმა.

ბევრს დაჯერებაც კი არ გვინდოდა ამ წარმოუდგენელ უბედურების, მაგრამ მწარე სინამდვილე ამას გვიმტკიცებდა. პირველი მაჩვენებელი რუსეთის ეხლანდელი სახისა—მისი ჯარია, ჩვენს წინააღმდეგ მდგომი.

**ა. მანუჯაშვილი.**

2.

ჩვენ, ასპინძის მე-9-რე ათასეული მთელი თავისი შემადგენლობით სალამს ვუძღვნით საქართველოს მხედრობის ყველა ნაწილებს და ვუსურვებთ გამარჯვებას იმათ წინააღმდეგ, რომლებსაც კარგათ არ უგრძვნიათ ქართული მხედრული მუშტი.

ლეიტენანტი **ს. ა. კოპალეიშვილი.**

**17 მაისი.**

3.

ფრონტის დღეებში საერთოდ ზურგმა დაუმტკიცა ფრონტს, რომ მთელი გულისყური მისკენ აქვს მიქცეული და მისი ყოველ წუთიერი საზრუნავი არის ფრონტის დახმარება. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ნაკლი, რომელიც გამოიხატა საჩუქრების არა თანასწორად განაწილებაში. მაგრამ, სადგურ სოუხბულახში მდგარ მესანგრე ათასეულის პირველი სატელეგრაფო გუნდის საკაბლო განყოფილებას, რომელიც აკავშირებს ფოილოს ფრონტზე ყველა ნაწილებს და ყველას ზურგიდან არ მიუღია არავითარი საჩუქარი: ხშირათ გაიგონებთ ასეთ საყვედურს: „ჩვენ უკანონო ნაწილი ვყოფილვართო". ეს, რასაკვირველია, სიმართლეს არ შეეფერება. და როცა ასეთი ყრუ უკმაყოფილება გესმის, გაგონდება ჩვენი წითელ დროშის დამცველთა ბელადის ველიკო ჯუღელის სიტყვები: „ფრონტი ბავშვია, მას ცოტა გაახარებს"-ო.

საპიორი **გ. ბ—ძე.**

4.

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა უძღვნა ფრონტის დამხმარე კომიტეტს. სახალხო გვარდიის საავათმყოფოს ავათმყოფნი—დაჭრილი აფიცრები და გვარდიელები დიდ მადლობას მოგახსენებთ საჩუქრებით მოწყვედილი დახმარებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სამშობლო არ დაივიწყებს თავდადებულებას თავისი შვილებისას. ჩვენ ყოველ წუთს მზად ვართ თავი დავსდოთ სამშობლოს საკეთილდღეოთ.

აფიცრების და გვარდიელების მონდობილობით კაპიტანი **ჭავჭანიძე.**

## იშვიათი წიგნი

სიყვარული ზღვა არის, ვერ დაუწერ მას კანონებს, ვერც საზღვრებს დაუდებ. როცა გგონია, რომ ის მოწმენდილია და შეგიძლიან ენდო მისს ტალღებს,— სწორედ მაშინ აიქოჩრება და ნაფოტებად აქცევს ხომალდებს. მაგრამ შეიძლება ის ბობოქრობდეს, წარლეკნას იმუქრებოდეს—მცირე ხნის შემდეგ კი დაწყნარდეს და ცისარტყელას შეეთამაშოს ჭავლთა ღივლივით.

ძნელია მის ზვირთებში შეცურება. საშიშია ალალ-ბედათ მინდობა მისი, თუმცა გული მარად მისკენ მიიწევს და მისს ჩქეფს ეხმაურება.

უნდა უცადო ტაროსს, შეურჩიო დრო, თუ გსურს უვნებლად შესცურდე შიგა და მიიჭრა ტალღათა მთის გადაღმივ აზურმუხტებულ ოცნების კუნძულთან, თორემ უდროო დროს აშვებულ ხომალდს ამოუვარდება გრიგალი, მიამსხვრევს ხომალდს და... და მშვიდობით ოცნების კუნძულო... ვეღარ იხილავენ მოსიყვარულე თვალები იქ მონარგიზულ სატრფოს გულისას...

ზღვა არის სიყვარული და მისი გავლა სჭირდება ტიტოს. უნდა გასცუროს იგი, რომ მიაგნოს შორეულ კუნძულზე სიცოცხლის ეშხით აფანცქალებულს ნინუს გულს.

ზღაპარია სიყვარული და ყვავილოვან ქარაგმითაა იგი მოსათაიგულებელი, თორემ მართლა ნამდვილ ზღვასთან ხომ არა აქვს საქმე ტიტოს. არც კუნძული აქვს საპოვნელი.

ბობოქარი ზღვა მისი სულია, რომელიც ნინუზე ოცნებობს და ნინუს შეწირება—თუნდა ათასჯერ მოუხდეს ზვარაკად შეწირვა.

უყვარს ტიტოს ნინუ და [illegible] როგორ გაანდოს ეს გრძნობა? [illegible]; ვაი თუ არ მოუსმინოს. ტუჩი აუბზიკოს, მოაყიონოს.

ეს ხომ ზღვაში დაღუპვა იქნება. ეს გაცამტვერება იქნება მისი ხომალდისა.

სწუხს, ღონდება ტიტო. არ იცის რა მოიმოქმედოს.

დუნდულა და დალაბრა არავის ეგონოს.

კვესივით ცეცხლს აფრქვევს. ანდამატად გადაიქცევა ხოლმე, როდესაც გაჭირვება შეხვდება, მაგრამ სიყვარული სულ სხვა არის და აქ ჯომარდი ტიტო უიარაღო ხდება...

ვინც გაუტაცნია სიყვარულის ქარიშხალს, ვისაც ცრემლი სდენია სატრფოზე ფიქრის ჟამს,—მხოლოდ ის მიხვდება ტიტოს სულის ღელვას...

იგივე მიხვდება, თუ რად მოხდა, რომ ტიტო, რომელსაც თავისუფლებისთვის ბრძოლის ჟამს არა ერთხელ უშიშრად ჩაუხედნია სიკვდილის თვალებში—ახლა დაშინდა... შეეშინდა იმ ქალის გულისა, რომელიც ერთი ციცქნა ძლივსაა, თუმცა ღმერთების დამონებაც კი შეუძლიან სიყვარულის ბორკილებით... ტიტომ სხვა რომ ვერა მოახერხა რა არჩია უსახელო წერილის მიწერა...

ისეა იგი შედგენილი, რომ ადვილად ენიშნება ნინუს, ვისგანაცაა გამოგზავნილი.

მეშჩანთა ჯოგი, რომელიც სიყვარულშიაც კი ერთფეროვნად და განუსხვავებლად იქცევა—ელეთ-მელეთს ეწევა ამის გამგონე. ბუწუწებს დაიბღვნის:

— რასა ჰგავს ესა?—მოჰყვებიან იგინი: ვის გაუმხელია ამნაირად თვისი გრძნობანი. ვინ ამოჰფარებია უსახელო წერილს? ეს ხომ აბუჩად აგდებაა, გახიახებაა ტრფობისაო.

ვინც რა უნდა სთქვას. რა საქმე აქვს მათთან ტიტოს. მას უყვარს და ეს საკმარისია, რომ ღვთაებრივი შუქით განსპეტაკდეს მისი წერილი.

ზღვა არის სიყვარული და შეურჩია მას ტიტომ დრო. როდესაც ნინუს გული გაზაფხულის გარიჟრაჟივით უნაღვლოთ ქათქათებდა—აუშვა ხომალდი, ააფრიალა იალქნები და გაისტუმრა თვისი ოცნება ნინუსაკენ.

მიჰქროდა ოცნება და თან მიჰქონდა წერილი, რომელშიაც ეწერა:

— ნინუ, კარგო ნინუ!

ადამიანის გული დახურული წიგნია. იგი ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გაიხსნება და შეიძლება ამოიკითხოთ იქიდან ზღაპარი მომხიბლავი.

ზღაპრები ბევრია ქვეყანაზე. ლეგენდებიც მრავალია, მაგრამ ის ზღაპარი, რომელიც ამ იშვიათს წიგნშია,—ყველას სჯობია. ბევრ ქალს ეშხით გაუდევნებია მისთვის თვალები და უნატრია იმ წიგნში ჩახედვა მაგრამ ტიტო მალე დასწვავს და დაფერფლავს მას, ვიდრე აჩვენებს სხვა ვისმეს თვალებს. ეს წიგნი მხოლოდ ნინუსათვისაა შენახული.

მომხიბლავია ეს ზღაპარი და ნინუმ რომ ჩაიხედოს შიგ—უეჭველად მოეწონება.

ნინუს ხომ წინეთაც უსიამოვნია ტიტოს საუბრით სიყვარულზე, აბა მოიგონოს.

ერთხელ ამოოხვრით უთხრა ტიტომ ნინუს:

ბასტილია დაანგრიეს, მეტეხის კარებები დაალეს, ქალების გულებს კი ვერა უშველეს რა.

ვერას გზით ვერ გახსნეს და ვერ გაანთავისუფლეს იქ დატყვევებული მოსიყვარულეთა სულები.

მოჰხიბლავენ ის დასაქცევები კაცებს, შეიტყუებენ შიგა და მორჩა... გათავდა. იგი სამუდამოდ დატყვევებულია და ვეღარასოდეს ეღირსება განთავისუფლებას.

ნეტავ როდის მოვესწრებით, რომ ქალების ეს ციხეები გაბრწყინვებულიყვნენ ალერსის შუქითა და აღარ იღველფებოდნენ შიგ მომწყვდეული კაცთა ოცნებანი.

გულიანად გადიკისკისა ნინუმ.

სიმხიარულის მარგალიტები გადმოიფრქვა მისს ბაგეთაგან და მოკრიალდა ტიტოს ოცნების ცა.

ვინ, ვინ დაივიწყებს იმ ნეტარს სიცილს.

ის სიცილი აჩენს და აკაშკაშებს სიყვარულის მზეს... იგი აღაღებს ველ მინდვრებს... იგი აჰავლებს ზღვის კაბადონს...

სიცოცხლეს ანაცვალებს ტიტო იმ სიცილს... დაენაცვლება.

თუ ასე გაახალისა ამ საუბარმა ნინუ, მით უფრო გამხიარულდება—როცა ამ იშვიათ წიგნს წაიკითხავს... შეუყვარდება.

თუ რომელიმე წიგნია უკვდავი—ესაა წიგნი სიყვარულის ცრემლებით დაწერილი.

თუ რამეა მარადიული—ესაა ტრფობის ლოცვა და ღაღადება...

ზღაპრები, ზღაპრები, ზღაპრები... მარად ზღაპრები იტაცებდნენ მეოცნებეებს, ზღაპრებში ეძიებდნენ მშვენიერების სახებას... არა, ნუ უნდა ნინუს ის ზღაპრები. მას შეუძლიან მიიღოს უფრო მომხიბლავი წიგნი. გადაშალოს და წაიკითხოს ტრფიალების ლეგენდა ჯერ არსად გაგონილი... ალტაცებით უთავაზებს ტიტო ამ წიგნს, თუ კი მოეწონება ნინუს.

ეს მისწერა ტიტომ ნინუს...

უმალ გაჩნდა ფოსტის ყუთთან და გაფითრდა... ტილოს ფერი დაედო. ჩაუშვას, თუ არ ჩაუშვას... ახ, რაც იყოს, იყოს—სთქვა მან და გაუშვა ხელი წერილს... ღმერთო, ეს რა ჰქმნა, რა ჰქმნა ტიტომ. როგორ გაკადნიერდა... როგორ გაჰბედა წერილის ჩაშვება? ასე ეგონა იგი შეცურებული იყო თვისი სუსტი ხომალდით შუა ოკეანეში... ეგონა მალე ამოუვარდება ქარიშხალი და დაჰლუპავს უმწეოდ შთენილს.

ტიტომ წარმოიდგინა სურათი, როდესაც ნინუ მიიღებს მისს წერილს... სახე ულიმარი გახსნის... გოროზად გადაავლებს თვალს ერთ-ორ სტრიქონს და

დაჰფხრეწს... ჭორიკანა ნიავს გადაუყრის ნაფლეთებს, რომ ქვეყნად მოჰფინოს ტიტოს დამარცხება...

ასე ეჩვენებოდა ტიტოს ნუნუ... გული ელეოდა... ყურებს შხუილი გაუდიოდა... თურმე ნუ ბრძანებთ, ამაოდ შინებია. ტყუილად უჯავრიანია. რამდენიმე დღის შემდეგ მიიღო ბარათი, რომელიც მართალია ორი-სამი სიტყვისგან შესდგებოდა, მაგრამ ბედნიერების მახარობელი იყო იგი.

ნუნუ, სთხოვდა ეთხოვებინა რომელიმე კარგი, იშვიათი წიგნი. მოწყენილობას გრძნობდა და სურდა გართულიყო.

როგორც ღვთის მოსავი მესვეტე ღვთაებრივი ექსტაზით ათრთოლდება, როდესაც შემოესმება სააღდგომო ზარის რეკა— ისე ათრთოლდა და აზატდა ტიტო, როცა წაიკითხა ეს სტრიქონები-

⁂

წიგნების კარადასთან იდგნენ ტიტო და ნუნუ. ნუნუ წიგნის მისაღებად მოსულიყო. ხან ერთს აიღებდა, ხან მეორეს და ელოდდა ტიტოსაგან დასტურს, რომ იგია ის იშვიათი წიგნიო, მაგრამ არც ერთს არ ურჩევდა ტიტო. ან რა უნდა მათში იმ ძვირფასს წიგნს, რომელსაც ტიტოს მთროლვარე გული აქვს ყდათ გადაკრული.

— რა ვქნა, რატომ არ მაჩვენებთ იშვიათ წიგნსა?—ეკითხებოდა ნუნუ.

— მე მეშინიან. ვაი თუ არ მოგეწონოთ. იქნება არ გაუფრთხილდეთ და დაჰკარგოთ.

— სამაგიეროს გიყიდით.

— არსად იპოვება. ვერსად შეხვდებით ამ წიგნს. იგი ერთად ერთია მთელს ქვეყანაზე.

— ნუ შიშობთ. არ დაგიკარგავთ მოწონებითაც ალბათ მომეწონება, თუ მართლა ასე იშვიათია.

იამა ტიტოს ეს სიტყვები. ნეტარების ჩიტუნიამ ალმასის ნისკარტი გაჰკრა მისს გულს და წაიყვანა შორს, შორს ბედნიერების ხეივნებისკენ.

⁂

მწუხრი იყო გაზაფხულისა და ნუნუ მღეროდა ვარდების ფურცვლასავით ნაზი ხმებით.

მღეროდა ნუნუ მომხიბლავად და ეგონა ტიტოს, რომ იგი დაეძებდა ტიტოს გულს და მას ჰპირდებოდა დაუტევარს სიყვარულს, ალერსს.

— რა არის სიყვარული, რა არის სიყვარული, რა არის სიყვარული?— კითხულობდნენ ეშხის იებით შეეშხული ნუნუს ხმები და ტიტოს მიბნედილი გული უპასუხებდა:

— წმინდა ტანჯვა, წმინდა ტანჯვა, წმინდა ტანჯვა!..

მღეროდა ნუნუ პირველს სიყვარულზე, პირველ ტრფობის ცრემლებზე და ტიტო უხმოდ—ესაუბრებოდა.

— ზღაპარო, გაზაფხულის ზღაპარო! ჩემი გულის წიაღში სამოთხეს გადაუფურჩქნი შენს ნორჩს ოცნებას.

ჩემი სიყვარულის ცრემლებით მოთვალულ სრა-სასახლეებს აუგებ შენს ნათელს სულსა.

ჩვენი სიყვარულის შემხედვარე მოიხიბლება მარადიული სევდა და შვების ყვავილების გვირგვინით შეამკობს შეჭმუხნილს შუბლსა.

არაფერს უპასუხებდა ნუნუ ამაზე, მაგრამ იცინოდნენ, ედემური სიცილით იცინოდნენ მისი უძირო, უნისლო თვალები..

სიყვარულის ღმერთი იყურებოდა იქიდან ის აციმციმებდა უთვალავ ვარსკვლავებად ეშხის ციცინათელებს.

ტიტოს აღარ ეშინოდა ზღვის ღელვისა და კარტეხილის.

**დ. თურდოსპირელი.**

## ს. დ.-პარტიაში

**ივანდიდი.** ს. დ. ორგანიზაციის გარშემო შემოკრბა როგორც სოფლის, ისე ქალაქიდან და სამრეწველო ცენტრებიდან ჩამოსული მუშები. ამ უკანასკნელებმა ჩაბერეს სული ორგანიზაციას და განაცხოველეს მუშაობა. დაიყო ივანდიდი რამოდენიმე უბნათ; თითოეულ უბანს მიუჩინეს თავისი ორგანიზატორი; ეს უკანასკნელები შეუდგენ გაათკეცებული ენერგიით თავის უბნებში კრებებისა და ხალხთან საუბრების გამართვას ყველა საჭირ-ბოროტო და მომენტის მიერ წამოყენებულ საკითხებზე, რეფორმებზე, მთავრობის მუშაობის ნაყოფიერებაზე და მით მოუსპეს ნიადაგი პროვოკატორების მიერ გავრცელებულ ყალბ ხმებს. ეს მუშაობა რაც დღე მიდიოდა სულ უფრო ძლიერდებოდა და ს. დ. ორგანიზაცია პოპულიარობას იძენდა. დღეს ის არის ივანდიდის მთელი საზოგადოებრივ ცხოვრების ცენტრი. ყველა მის გარშემო იყრის თავს, ყველა მას უწევს ანგარიშს. კვირაობით ხდება პარტიული კრებები, რომელზედაც იკითხება მოხსენებები, ლექციები და ირჩევა წმინდა პარტიული საკითხებიც. ამავე ორგანიზაციის თაოსნობით დაარსდა სამკითხველოს სამზრუნველო კომისია, რომელიც ამ ბოლო ხანებში შეუერთდა არსებულ სასკოლო კომისიას, შექმნა ერთი კულტურულ განმანათლებელი კომისია. ამ უკანასკნელმა უკვე შეიძინა ეზო სკოლის შენობის ასაგებათ და სამკითხველოსთვის სახლი. ახალ შეძენილ სახლში უკვე გაიხსნა უფასო სამკითხველო. ს-დ ორგანიზაციის თაოსნობითვე შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, რომელსაც განზრახული აქვს ყოველ შაბათობით მართოს წარმოდგენები და შექმნას ივანდიდში მუდმივი თეატრი მისი საკუთარი შენობით. დეკორაციები უკვე შეიძინა სამზრუნველო კომისიამ, რომელიც გადავიდა სცენის მოყვარეთა წრის განკარგულებაში. არ არის დაწესებულება, რომელშიაც ს-დ ორგანიზაციის წევრები არ მუშაობდნენ სკოლაა ის, სამკითხველო, ბანკი, წისქვილი თუ მიწის მუშათა პროფესიონალური კავშირი. რაც ს. ივანდიდში დაარსდა ს-დ ორგანიზაცია საზოგადოებრივმა მაჯის ცემამ საგრძნობლათ იმატა. კვირა დღე ისე არ ჩაივლის, რომ ორი სამი კრება არ მოხდეს; მუშაობის დღეებშიაც პოულობს მოქალაქეები დროს შეიკრიბონ და იმსჯელონ სოფლის ჭირ-ვარამზე. ივანდიდის მიწის მუშათა პროფესიონალური კავშირის სოლიდარულათ მუშაობს ს.-დ. ორგანიზაციასთან პროვოკატორების წინაამდეგ. ეს უკანასკნელებიც ცდილობენ სახელი გაუტეხონ კავშირს მთავრობის თვალში, ნათლავენ მას ბალშევიკურათ, მაგრამ დღიდან დაარსებისა კავშირი დარაჯათ უდგას ჩვენი რესპუბლიკის ინტერესებს და მას არავის არ შეალახვინებს. აქ არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ საერთოდ მუშების გამოფხიზლებას კავშირების დაარსებამაც ხელი შეუწყო. სწორეთ ამით აიხსნება, რომ ხონში არა ჩვეულებრივი ენტუზიაზმით და ზეიმით ჩატარდა 1 მაისის დღესასწაული. ამდენი დროშები ხონს არ უნახავს! დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მუშებში თფილისის მუშების კავშირთა გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ბერიშვილის სიტყვამ, რომელმაც მიესალმა მიწის მუშებს თფილისის მუშების სახელით. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე ამხ. კოლია ჭუმბურიძემ, რომელმაც მშვენიერათ დაახასიათა ბალშევიკ-ოსმალთა ზრახვები. ამავე დღეს ივანდიდის კავშირმა დიდი მიტინგი გამართა თავის უდროოთ დაკარგულს ამხანაგის პოლიკარპე ხაინდრავას საფლავზე. ყველა გამოტანილ რეზოლიუციებში კავშირები აღუთქვამდენ მთავრობას დახმარებას, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებთან ბრძოლაში. ივანდ. ს.-დ. ორგანიზაციამ აირჩია მუდმივი კორესპოდენტი, რომელიც მიაწოდებს გაზეთ „ერთობას“ დაწვრილებითი ცნობებს, როგორც ს--დ. ორგანიზიციის და მიწის მუშათა კავშირის, ისე მთელი სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, რათა არ განმეორდეს ის გულსაკლავი გაუგებრობა, რომელსაც ამას წინეთ ადგილი ქონდა ივანდიდისა და ზოგიერთ თფილისელ ამხანაგებთა შორის და გასავალი არ ექნეს იმ ყალბ ცნობებს, რომელსაც ხშირად ავრცელებენ ივანდიდის ს.-დ. ორგანიზაციის მიერ ლახვარ ჩაცემული დემოკრატიული წესწყობილების მტრები.

**დაუღალავი მებრძოლი.**

## მუშათა შორის

**პასუხი ბალ—„ამირანის“ მეპატრონეებს.** მოვისმინე თქვენი ვითომდა პასუხი ჩემ წერილზე. თქვენ სწერთ, „ამირანი“ არ ეკუთვნის დაშნაკელებსო“, მით უარესი თქვენთვის, პირადათ ჩემთვის კი სულ ერთია: „რა მგელს შეუჭამივარ და რა მგლის ფერ ტურას“. ნამდვილი დაშნაკელობა სჯობია მის მიმბაძველობას.

თქვენ ამტკიცებთ, თითქოს მოსამსახურეები ყველა კავშირიდან გყოლოდეთ აყვანილი, ეს რომ ასე იყოს და მე მაინც თქვენთვის შეურაცყოფა მომეყენებია, ჩემი ასეთი საქციელი იქნებოდა ჯერ ერთი ზნე დაცემულობა და მერე პირადი შურისძიებით გამოწვეული, მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ ეს ასე არ არის. შარშანდელ ამბავს რომ თავი დავანებოთ, წრევანდელი თქვენ და კავშირის შორის მომხდარი კონფლიქტებიც დამამტკიცებელია იმისი, რომ თქვენ კავშირს გინდათ გვერდი აუაროთ. განა ის ქალი, რომელიც თქვენ მოიყვანეთ სამუშაოდ, ჩაითვლება კავშირის გამოგზავნილათ?

ან კიდევ საქვ. საზოგადოების სახელით რომ გყავთ აყვანილი? დასასრულ თქვენ სწერთ,—„სამი კავშირის გამოგზავნილია, ხოლო ერთი რახან ძალიან გაჭირვებული იყო, დატოვა თავის ალაგას კავშირმაო“·—სჩანს თქვენ კავშირის დაუკითხავად აგიყვანიათ მოსამსახურეები, ხოლო კავშირს მიუღია ზომები და მოუხსნია ერთის გარდა. თუ ეს ასეა, მაშ რაღათ დაგჭირდათ რედაქციის შეწუხება? ჯობესი არ იყო მობრძანებულიყავით კავშირში, იქ გეთქვათ ყოველივე!?

დასასრულ მინდა გაცნობოთ, რომ მე არავისი კერძო ინტერესი არ მაქვს. თუ ვინმეს ვამხელ კანონის დარღვევაში, ამით სამსახურს უწევ იმ მართლაც და ეკონომიურად გაჭივრებულ უმუშევრებს, რომლებიც ასობით ჰყავს ჩვენს კავშირს. ამით ვათავებ თქვენთან კამათს

**გ. ჯიქია.**

**თფილისი.** გაზეთი „რკინის გზელი“ № 23 გვაუწყებს, რომ თანახმად ცენტრალური გამგეობის დადგენილებისა 4 ივნისის სხდომაზე, 25 ივნისს უნდა იქნეს მოწვეული მთელი ხაზის კონფერენციაო. კონფერენციაზედ გასარჩევათ იქნება დასმული სხვადასხვა საკითხები. აუცილებელი საჭიროებაა სხვა საკითხებთან ერთად იქნეს დასმული საკითხი კანტორის მოხელეების კატეგორიებში აღდგენის შესახებ. თუმცა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა დელეგატების მეორე ყრილობამ დაავალა ცენტრალურ გამგეობას: „განსაკუთრებული ყურადღება ექნეს მიქცეული იმ შეუსაბამო გარემოებას, რომ კანტორის მოხელეები კატეგორიებიდან იქნენ გამოყოფილნი, რის გამოც მათზედ არ გავრცელებულა 1919 წ. აგვისტოს 40°/o მომატება, პირიქით, ჯამაგირის დაკლებაც კი გამოიწვია, ცენტრ. გამგეობამ მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა დანაკლისი აუნაზღაურდესო. მაგრამ გადის რვა თვე და არავითარი შედეგი ამ დავალების არა სჩანს, რის გამოც თითეული კანტორის მოხელე ამდენი ხნის განმავლობაში ყოველთვიურათ კარგავს 160—320 მანეთამდე. დღეს საჭიროა მთელი რკინის გზის ხაზის კანტორის მოხელეებმა დაავალონ თავიანთ რაიონების წარმომადგენელთ: დაჟინებით მოითხოვონ მეორე ყრილობის დადგენილების სისრულეში მოყვანა.

**მოხელე სილოვანი.**

## პროვინცია

**ს. ერედვი** (გორის მაზრა). ბევრი რამ აკლია სოფელს, ბევრი რამ აქვს სათქმელი და ხშირად კი არ იცის ვის უთხრას ან ვის მიჰმართოს. როცა ამგვარი ლაპარაკი მესმოდა, ხშირად მეც არ მჯეროდა, მაგრამ დღეს კი თვით დავრწმუნდი.

გარემოებამ მაიძულა 1914 წ. წამოვსულიყავ სოფლიდან და მას შემდეგ მხოლოდ ეხლა მომეცა საშუალება სოფელში დაბრუნებისა. „თითქმის ყოველდღე, ვიდრე ოსების ბრბოები გადმოვიდოდნენ და დაგვეცემოდნენ, მოდიოდნენ ადგილობრივი გლეხკაცობა და მიყვებოდნენ თავის გასაჭირს და სხვადასხვა ამბებს. ჩემი ყურადღება ორმა ამბავმა მიიპყრა. საქმე შემდეგშია:

სადგილ-მამულო რეფორმა თუ სადმე მახინჯათ არის გატარებული, მას ერედვი არ ჩამოუვარდება.

ყველას აგრარული რეფორმა ასე გვესმოდა, რომ მემამულეებს რაც ნორმაზედ ზედმეტი მამული აქვთ, ჩამოერთმევათ და უმამულო გლეხობას დაურიგდებათ და ნორმა მიეცემა მხოლოდ ოჯახს.

იქნებ ასე მოხდა სხვაგან. ჩვენს ერედვში კი სულ სხვა მომხდარა. აქ სცხოვრობენ ორი კომლი ფ-ბი. ერთმანეთის ალალი ბიძაშვილები. მათი მამები სიცოცხლითვე გაყრილან. მათი შვილებიც ცალკ-ცალკე ორ ოჯახათ სცხოვრობდნენ და ფლობელობდნენ. ამით იხელმძღვანელა მიწების ჩამომრთმევ კომისიამ და 1918 წელს ორ ოჯახს სათითაოდ მიუზომა კუთვნილი ნორმა. მხოლოდ ამ დროს სოფელში იყო ერთი ოჯახის წარმომადგენელი გ. ფ-ლი, მეორე ოჯახისა-კი იმ ჟამად არ იყო სოფელში. ისარგებლა იმ გარემოებით, რომ მისი ბიძაშვილი ნ. ბ-ძე არ იყო და რაღაც მოსაზრებით გ. ფ-მა ორივე ნორმა ერთს ოქმში მოათავსებინა. კომისიამ მუშაობა დაამთავრა და წავიდა. ამის შემდეგ გ. ფ-მა მოახერხა ცალკე თავის სასარგებლო კომისიის მოწვევა. ეს კომისია იქამდის სასარგებლო იყო მისთვის, რომ სოფლად მას „გიგას კომისია“ უწოდეს.

ამ კომისიის მეოხებით მან მოახერხა მიღება სხვადასხვა სახელზედ სამი დამატებითი ნორმის. ერთი თავის დის და ძმის ა. ფ-ბის სახელზედ; მეორე თავის გათხოვილ დის ლ. ი—ის სახელზედ და მესამე თავის ნათესავ ე. შ—ლის სახელზედ. უკანასკნელ ორ კომლს ი—ნს და შ—ლს სოფელში ვერც კი იცნობენ. ამ დამატებითი ნორმებიდან ნაწილი გაუყიდნიათ და ნაწილი საჩუქრათაც გაუციათ.

ვინ შეიძენდა ამ მამულს თუ არ შეძლებული და ფულიანი. ისე რომ, რეფორმის იდეია, მამული გადასულიყო ღარიბთა ხელში გ. ფ—ლის მეოხებით ერედვში ვერ განხორციელდა.

საკვირველი ის კი არ არის, რომ დამატებითი ნორმები მიიღეს, საკვირველი ის არის, რომ ნორმების შესახებ არ მოიპოვება არავითარი ცნობები არც გორის სამაზრო ერობაში და არც მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებაში.

ამისთანა უკანონო ამბავი, რასაკვირველია, იწვევს, გლეხკაცობაში გულისწყრომას და ვინაიდან მათ არ იციან ნამდვილი მხარე და წვრილმანი ამ საქმისა, გამოსთქვამენ საყვედურს მთავრობისადმი. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობის ყურამდე არ მიუღწევია ამ ამბავს.

თურმე ერთს მადლიან ადამიანს უკისრნია ამ „გიგას კომისიის“ გადაცემა საცა ჯერ არს, რისთვისაც აღნიშნულ „კომისიის“ წევრნი და მომხრეები დაჰმუქრებიან, „გაჩუმდეს თორემ ციხეში ჩავასმევინებთო“. და სხვა... იმდენია, ამისთანა მუქარა მართლის მთქმელს და სოფლის გულშემატკივარს ვერც შეაშინებს და ვერც გააჩუმებს. და ვერ გააჩუმებს უფრო იმ იმედით, რომ დაანახოს სოფელს, რომ უწინდელ დაჩაგვრას ალაგი არა აქვს ჩვენ სამშობლოში.

მეორე ამბავი ამაზედ უფრო საოცარია: 1918 წელში როცა ცხინვალი და მისი ახლოს მდებარე სოფლები ოსთა ბრბოებმა დაიჭირეს, ერთხანად ოსები ერედვშიც დაბანაკდნენ. გვარდიამ და ჯარმა განდევნის დროს სროლა დაუწყო ერედვსაც. თუმცა ერედვიდან პასუხი გასცეს ოსებმა, მაგრამ შემდეგ როცა შეატყვეს, რომ მარცხდებოდნენ, გაიქცნენ. როცა გვარდია შემოვიდა სოფელში და ოსები ველარა ნახა, ეჭვის თვალით შეხედა ერედვს. ერედველებმა ასე შემომჩივლეს: „ამ ამბის შემდეგ ერედვიდან არ წაუყვანიათ ჯარში არც ერთი კაცი და აღარც გვარდიაში გვიღებენ. ჩვენში 500 მეტი კაცი ვართ, ომში ნამყოფები და გამოცდილები, ჩვენი წლების სხვაგან მოკრიბეს და ჩვენ კი სახლში ვსხედვართ. სირცხვილით ვერსად გავსულვართ ამის შემდეგ. ვკითხეთ ზოგიერთებს და ასე გვითხრეს, რომ: „ერედვი წითელი ხაზით არის შემოხაზული და უნდა დაინგრესო.“ ყველა ამის შემდეგ ჩვენც გული გაგვიტყდა და საქმეზედ გული აღარც კი გვექსო“.

მე ვარწმუნე, რომ ეს ამბავი დაუჯერებელია, რომ არაფერს ამისთანას არ გადასწყვეტდა მთავრობა და თუ გადასწყვეტდა, ყველანი გავიგებდით. ამ სიტყვების შემდეგ მათ მომმართეს, რათა მეშუამდგომლა მთავრობის წინაშე, ისინი მთავრობას გაერია ჯარში და გვარდიაში სამშობლოს დასაცველად. ერთის მხრით კი დაუჯერებელია ეს ამბავი, მაგრამ მეორეს მხრით კი მე თვითონ ვნახე, რომ ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა ყველა სახლში იყო. შესაძლებელია, რომ ამ გარემოებით ოსებმა ისარგებლეს და ძალით შეაიარაღეს და გაჰრიეს თავიანთ ბრბოებში ჩვენივე წინააღმდეგ.

სხვა უბედურებასთან ერთად ამ სოფელს სწვევია საოფლე, რომელსაც ბევრი უმსხვერპლია და კიდევ ბევრს იმსხვერპლებს, თუ საქმეო დახმარება არ აღმოუჩინა ერობამ. დღემდის კი არსაიდგან სჩას მცირე ყურადღებაც კი.

მოსავლის მხრიდანაც ხელ-ცარიელი დარჩნენ. ამ მხარეს საუცხოვო პირი უჩანდა მოსავალს, მაგრამ ოსთა ბრბოების დაცემამ და მათ განდევნამ ისე დასცეს ძირს ჭირნახული, რომ ხალხი გულდათუთქული სასოწარკვეთილებას და გლოვას არის მიცემული.

სასურველია ყველა ზემოდ მოყვანილს ანგარიში გაეწიოს ვისგანაც ჯერ არს და უპატრონობა არ აგრძნობინონ სოფელს.

**მართალაძე.**

## ფრონტისათვის

31 მაისს დუშეთში შეკრებილ იქნა: გ. ცეცხლაძის, გორა ქურციკიძის, ექ. ტატუნაშვილის და თამარა ხურუმოვის ხელით:

სვიმონ ჭიაბრიშვილმა 1500 მან., ალ. გორგიშვილმა, ალექსი ჭონქაძემ, პაპა შალიგოვმა 1000 მ. თვითეულმა; კოსტა ხუროძემ 980 მ., გრიგოლ მირაქოვმა, თედო ჭონქაძემ, ივანე ქაჩიროვმა, ნიკოლოზ ჩარაშვილმა, სოლომონ ყაზბეგმა, ლ. ლეონიძემ, არჩ. კორინთელმა, პეტრე შანჯვალაძემ, გრიგოლ ფარნიევმა, გერონტი ცეცხლაძემ, ნიკო ხურუმოვმა და გორა ქურციკიძემ 500 მ. თვითეულმა. ფარესაშვილმა დიმიტრიმ, ლოტოევმა ნიკომ, ტაბლიაშვილმა სოსომ, სარჯველაძემ ალექს., ივანე ლუპიანმა და ნიკო უთრუგაშვილმა 300 მ. თვითეულმა; ისაკა ჭონქაძემ 256 მან. ბასილაშვილმა ესტ. და ვასო სტეფანოვმა 250 მ. თითოეულმა. ექიმ სორკინამ, კასრაძე ვანომ, ებრალიძე ვანომ, ბოსტოვმა, ქარიაულმა ალ., ხულეზაურმა, ვანო მეგრელოვმა, დავით ამირიძემ, მაისურაძემ. მაზიტაშვილმა, ივანე თაბორიძემ, იასონ ბუდუკაძემ, აკაკი უგრეხელიძემ, როსტიაშვილმა სიმ., ლ. კობაიძემ 200 მან. თვითეულმა. ტროიანსკიმ, ფლიტმა, დეკაპრელოვიჩმა, ხუტუნაშვილმა, შაქრო ჩრდილელმა, მაშო ჭეიშვილმა 150 მან. თვითეულმა. ავალოვმა, სიმონ გოციევმა, ებრალიძე ალ., ვლ. გულბათაშვილმა, ავალოვმა ა., ვ. ჩორგოლაშვილმა, ვანო ოსეფოვმა, ლ. ბექაურმა, წყ. არაქელოვმა, საგინაშვილმა, კაპიტანმა აფაქიძემ, ბ. კეზლისამ, ქ. კარიაულმა, მ. ელიაშვილისამ, ფ. საჯაიამ, გ. კორინთელმა, ვ. თუჯიშვილმა, ნ. ფიცხელაურისამ და ლეიტენტ მაკარიძემ 100 მან. თითომ. რამაზიშვილმა 71 მან., არდიშვილმა, კორნუზმა, საშაშვილმა, ევა სილაქაძემ, ი. ალავერდოვმა, ბურდული ხატომ, ანნა როინოვისამ, გორა თუჯიშვილმა, ელ მეზრიშვილმა, ალ. ოგანეზოვმა 50 მან. თითომ და ლეიტენტ კვარცხელავამ 31 მ. 50 კ., გორგიშვილმა ციკანი 500 მან., ყარსიგაშვილმა, ა. ხელუხაურმა თითო ბოთლი კონიაკი და კახურიძემ ერთი ბოთლი არაყი 350 მანეთი, ოგანეზოვმა ალ. პაპიროსი 3 პაჩკა, ვ. მეგრალოვმა, არაქელოვმა 5 პაჩკა პაპიროსი, ლ. ბექაურმა თუთუნი 5 პაჩკა.

შეკრიბეს; გ. ბელთაძემ, თ. ტატუნაშვილმა, ნ. კობაიძისა და ნ. ყარანგოზიშვილმა შემდეგ პირებისაგან: ხუთას ხუთასი მან.: ჩხეიძემ, გ. ბელთაძემ. სამას სამასი მან.; მელიქოვმა, ა. წივწივაძემ, ინგლისელ აფიცერმა. ორას ორასი მან.: ნ. თედეევმა, ფ. ინაშვილმა, ვარ. კალანდარიშვილმა. ხუთმეტ-ხუთმეტი თუმანი: ტერტეროვმა, ამირაგოვმა. ასასი მან.: ა. ლუკაშვილმა, ყარანგოზიშვილმა, კასრაძემ, თურქაძემ, არუთინოვმა, მახალდიანმა, გულბათიშვილმა, კობაიძისამ, ზედგინიძისამ, უგრელიძემ, ჩრდილელმა. ხუთ-ხუთი თუმანი: №-მა, ზანდუკელმა, ოთარაშვილმა, აპრელოვმა, თაბორიძემ, ახალაშვილმა, აბაშიძემ, არუმანიანმა, ილურიძემ, ფავლენიშვილმა, მარიშევმა. ოთხ-ოთხი თუმანი: ხულუხაურმა, კეზელმა. სამ-სამი თუმანი: ახალაშვილმა, ფარესიშვილმა. სხვადასხვა პირებმა 750 მ., სულ 5.340 მან. პეტ. მანჯგალაძის ხელით წარმოდგენიდან 5.650 მ. დაიხარჯა 300 მან. წმინდა შემოსავალი 32.087 მ. და 50 კაპ., 3 კარ. სფიჩკა, 15 პაჩ. პაპიროსი და 5 პაჩკა თამბაქო გადაეცა დანიშნულებისამებრ.

ფრონ. დღის მომწყ. კომ. თავმჯდ. ვ. კალანდარიშვილი. მდივანი ცეცხლაძე.

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის სააქციზო სამართველოს მოხელეთა საზოგადო კრების დადგენილებისა, ვადგენთ ფრონტის ფონდისთვის გადასაცემად თფილისში მცხოვრებ აქციზის მოხელეთა ჯამაგირებიდგან გამორიცხულ ას-ას მანეთს (ას კაცზე 10,000 მან.) და დამატებით შემოწირულს აქციზის მოხელეების: დ. მაჩუტაძესგან 100 მან., ზაზაძისაგან 100 მან., მაჭავარიანისაგან 100 მან., ირ. შევარდნაძისაგან 50 მან., სულ 10,350 მან. *) ამასთანავე გთხოვთ ეს ფული გადასცეთ დანიშნულებისამებრ და თქვენის გაზეთის საშუალებით მიუძღვნათ ძმური სალამი ქართველი ერის სიამაყე ლაშქარს. უსურვებთ ყოველთვის გამარჯვებას თავისუფალ საქართველოს საქეთილდღეოთ. საქარ. რესპუბ. სააქციზო სამართველოს მოხელეთა საზოგადო კრების მონდობილობით **ნ. სრესელი.**

P. S. ამ მოკლე ხანში წარმოვადგენ პროვინციაში მოსამსახურე აქციზის მოხელეთა შემოწირულებასაც. **ნ. ს.**

---

*) ფული რედაქციამ მიიღო.

## განცხადებანი

### იყიდება
### საპერავი მანქანა-შკაფი
**ზინგერის სისტემისა.**
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

ექიმი **ზ. უ. ალასოვი**
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დღისით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2.
1951—თ.

ექიმი
**გ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
**გენრიხ ისააკს ძე ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38.
(1741—თ.)

ექიმი **ივ. გოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საიკუშრო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 -თ.

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და [illegible] განოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებლი. ტელეფონი 14—13. (1773 თ.)

ექიმი
**ა. ლევენშტეინი**
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ექიმი
**ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი
**პ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი **მ. გოლშტეინი**
თვალით ავათმყოფი (სათვალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი
**სოლომონ ისააკს ძე ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
**ე. მ. მძინარიშვილი**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. № 22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი
**ნ. მ. გაჩეჩილაძე**
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25—3)

### მიღებულია დიდძალი ლამპის
### შუშები
### და სხვადასხვა შუშის
### ჭურჭლები

მიზნათ გვაქვს დასახული მივაწოდოთ ფართე საზოგადოებას რაც შეიძლება ხელსაყრელ ფასებში, მიუხედავათ ბაზარში არსებულ ფასებისა.

**საქონელი იყიდება მხოლოთ ცალობით და დაწესებულია შემდეგი ფასები:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ლამფის შუშები** | 5 ხაზიანი | 35 მ. | **ლამპის შუშები** | 12 „როიალ“ | 60 მ. |
| " " | 8 " | 90 მ. | " " | 14 " | 120 მ. |
| " " | 11 " | 100 მ. | " " | 14 კოსმოსი | 110 მ. |
| " " | 30 „მოლნია“ | 300 მ. | " " | 16 ხაზიანი | 60 მ. |
| " " | 20, 15, 10 " | 120 მ. | " " | 20, 15, 10 „ჩუდო“ | 120 მ. |
| " " | 15 მატდარი | 115 მ. | | | |

### ამორჩევა გრაფინებისა, როგორც დიდების, ისე პატარების წყლის, ღვინის, არაყის და ლიკიორისთვის.

რუმკები ყოველნაირი ფორმისა და ზომისა.

**ჭიქები სხვადასხვა ზომისა და ფერისა; ძმრის, გარციცის და პილპილის ჭურჭლები.**

### ყველა დაკლებულ ფასებში ყველა

### რადგანაც დიდი მოთხოვნილებაა შუშებისა და ამავე დროს ყველას უნდა შეიძინოს; ერთ პირს ვაძლევთ მხოლოთ ორ ერთნაირ შუშას.

ვაჭრობა დილის 9 – 2 საათამდე ყოველ დღე გარდა უქმე დღეებისა.

**სომხის ბაზარი, სასტუმრო ეზო ძმ. მანთაშევებისა.**

### სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა
### „კავკასიის მატყლი“

**შუა სართული №№ 39—41.** (1964—1—1)

**სექტემბრისათვის ამზადებენ გამოცდილი** **მასწავლებელნი.**

მოზრდილთა: 4, 5, 6 კლასში შესასვლელად ყველა სასწავლებელში. ქალებს—საბებიო ინსტიტუტში, აფთიაქის შეგირდათ და მოწაფეებს „პერეეკზამენოვკებზე“ მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. აგრეთვე ბავშვებს 1, 2 კლასისათვის. მისამართი: პლეხანოვის ქ., № 25, შესავალი ალექსის ქუჩ., № 5. ჩაწერა 9—11 ს. და 4—6 ს. მაჩაიძის ბინაზე. აქვე იყვანენ 1 მოწაფეს „პანსიონით“.
(1949—2—1)